პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

დღიური

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ [illegible] მაროკოს ომისათვის 1 მილიონი ფრანკით შეამცირა.
— გადადგა ნორვეგიის მთავრობა.
— გაიხსნა ლეიპციგის ბაზრობა.
— საბერძნეთ-სლავიასა და იტალიას შორის ხელშეკრულება დაიდვა.
— გერმანიას ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხში შეურიგებელი პოზიცია უჭირავს.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო საფინანსო კანონპროექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 2 მარტი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 48 (1503)

საქართველოს კომპარტიის ც. კ. გაფართოებული პლენუმი

ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

შესდგება 5 მარტს

თბილისის აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე

ს. კ. პ. ც. კ მდივანი მ. კახიანი

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა
მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 24
მეორე სართული (ტელ. № 10—49).

1921 2/III 1926

1921 წლ. 2 მარტს, რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, რომლის არსებობის 5 წლისთავი ახლახან გადავიხადეთ,—გამოვიდა ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი. დღეს, მაშასადამე, სრული 5 წელიწადი შეუსრულდა მას. ეს თარიღი უეჭველად აღსანიშნავია ჩვენი პრესის ისტორიაში. ამიტომ, მისი მოკლეთ გათვალისწინება, თუ რა პირობებში გამოვიდა ჩვენი გაზეთი, როგორ ვითარდებოდა იგი და რა ამოცანები დგას ამჟამად მის წინაშე, არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

თბილისში ის იყო აფრიალდა ოქტომბრის დროშა, მაგრამ დამარცხებული და დედა-ქალაქიდან ბათომისაკენ გაქცეული მენშევიკური მთავრობა ისევ განაგრძობდა უიმედო ბრძოლას რევოლიუციასთან, ცხადია, იმ მიზნით, რომ დრო მოეგო, საშუალება მისცემოდა საზღვარ გარედ გახიზვნისა და ხალხის ქონების გატაცებისათვის. ამხანაგები ჩაბმული იყვნენ მენშევიკურ ძალა-უფლების საბოლოო ლიკვიდაციის და ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარების საქმეში. ამავე დროს მრავალი ჩვენი ამხანაგი ჯერ ისევ ჩამწყვდეული იყო ქუთაისის და ბათომის ციხეებში. ასე რომ სულ რამოდენიმე ამხანაგს დააწვა გაზეთის გამოშვების სიმძიმე, ისიც ტეხნიკურად სრულიად მოუწყობელ პირობებში.

საბჭოთა პრესის წინაშე კი მაშინ უდიდესი ამოცანები იდგნენ. მენშევიკებს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ატმოსფერა ძალზე მოწამლული ჰქონდათ. არ არის ისეთი ჭორი და ცილისწამება, რომელსაც ისინი არ ავრცელებდენ ბოლშევიკების შესახებ. საჭირო იყო მენშევიკური პროვოკაციის გაფანტვა, გადატრიალების ნამდვილი შინაარსის და მიზნების განმარტება ფართე მოსახლეობისათვის. ყველაზე უფრო პრესას უნდა მოემოქმედა ეს. და უნდა ითქვას, რომ ჩვენმა გაზეთმა თავისი მოვალეობა ამ მხრივ ღირსეულად შეასრულა. მან ხელი შეუწყო მომხდარ ამბებში მასის გარკვევას და მის დაახლოვებას მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან.

რა თქმა უნდა, ამ ამოცანის განხორციელება ერთბაშად არ შეიძლებოდა. ისეთი მოწამლული ატმოსფერა დასტოვეს ჩვენში ანტისაბჭოთა ელემენტებმა თავის მემკვიდრეობად, ისეთ პროვოკაციულ მუშაობას განაგრძობდენ ისინი შემდეგშიც, რომ ყველა ამის დასაძლევად პარტიას მთელი წლები დასჭირდა. თუ დღეს ანტისაბჭოთა იდეოლოგია და სულიერი განწყობილება საერთოდ აღმოფხვრილია, ამაში ჩვენს გაზეთსაც დიდი წილი უდევს.

ეს იმავე დროს ნიშნავდა პარტიის, ლენინიზმის შეხედულებათა გავრცელებას, რასაც ჩვენი გაზეთი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა. ლენინიზმის ჩირაღდანი ყოველთვის მაღლა ეჭირა ხელში ჩვენ გაზეთს და მისი საშუალებით აშუქებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას. მშრომელ მასების პოლიტიკურად აღზრდა, მათი პოლიტიკურ შეგნების აწევა—აქეთკენ იყო ჩვენი მუშაობა მიმართული.

ლენინიზმის ერთ-ერთ ქვაკუთხედს ჭეშმარიტი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი შეადგენს. ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების წყალობით საქართველოში მაგრათ მოიკიდა ფეხი შოვინიზმმა, ერთა შორის შუღლმა და გაუტანლობამ. ჩვენს გაზეთს მოუხდა ბრძოლა, რომ ეს „მემკვიდრეობა“ აღმოეფხვრა, ხალხთა შორის ინტერნაციონალიზმის იდეა განემტკიცებია, მათ შორის სოლიდარობა და ძმური თანამშრომლობა დაემყარებია. შედეგები ამ მხრივ ყველასათვის თვალსაჩინოა. პარტიის და ხელისუფლების პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად ჩვენს გაზეთს უძევს ამ საქმეში თავისი წილი.

გაზეთი ამასთან დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა მშენებლობის საკითხებს: მართვა-გამგეობა, მეურნეობა, განათლება, ბრძოლა ბოროტმოქმედებებთან, საბჭოთა კანონიერების განმტკიცება და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით, ჩვენი სინამდვილის ყოველი დარგი და კუნჭული პოულობდა გაზეთის ფურცლებზე შეძლებისდაგვარად გამოხატულებას.

რა თქმა უნდა, ყველა ამ მუშაობის შესრულება შეუძლებელი იყო მარტო სარედაქციო ძალებით. გაზეთს ზურგს უმაგრებდა მთელი პარტია, მთელი მშრომელი მასა. კერძოთ უნდა აღვნიშნოთ მუშა და გლეხ კორესპონდენტების მოძრაობა. თუ გაზეთის გამოსვლის პირველ თვეებში კორესპონდენტები სანთლით საძებნელი იყვნენ, შემდეგში გაზეთის გარშემო შემოიკრიბა მუშების და გლეხების წრიდან გამოსულ თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი კადრი. დღეს მათი რიცხვი ასეულობით ითვლება. თითქმის არ მოიპოვება არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა თუ დაწესებულება, არც ერთი თემი და სოფელი, სადაც გაზეთს არ ყავდეს კორესპონდენტი, რომელთა მიერ გამოგზავნილ წერილებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აღმშენებლობისათვის. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამის წყალობითაც ფართოდ პოულობს გამოხატულებას ქვეყნის ავკარგი და საჭიროებანი. გაზეთი მჭიდროთ დაუკავშირდა მშრომელთა ფართოთ მასებს. 1924 წ. 27 ივნისს ჩვენ აღვნიშნეთ მისი მეათასე ნომრის გამოსვლა. მაშინ გაზეთის ტირაჟი 12.500 აღწევდა. უკვე ეს ციფრი უჩვეულო იყო ქართული გაზეთების ისტორიაში.

—„ჩვენი ლოზუნგი უახლოესი დროისათვის უნდა იყოს: ტირაჟი 25 ათასი ცალი“,—ასეთი დირექტივი მოგვცა იმ დროს ჩვენი პარტიის ცეკამ თავის მისასალმებელ წერილში. ეს ლოზუნგი დღეს განხორციელებულია. „კომუნისტი“-ს ტირაჟი უკვე ავიდა 25 ათასამდე. ეს რიცხვი ბევრად აღემატება, ძველ დროს რომ თავი დავანებოთ, მენშევიკების დროს არსებულ **ყველა** გაზეთების ტირაჟს, ერთად აღებულს. ცხადია, ასეთი მიღწევა მარტო ჩვენს გაზეთს არ მიეწერება. აქ მნიშვნელობა აქვს მასის არაჩვეულებრივ კულტურულ ზრდას, რაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი.

მიღწევა უეჭველად დიდია, მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით; ჩვენი ლოზუნგია: გაზეთის 2 ათასი ნომრისათვის 50 ათასიანი ტირაჟი. ამას ოცნებად ნურავინ ჩამოგვართმევს. ამის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, რასაკვირველია, პარტიის და მშრომელთა აქტიური დახმარებით და თანაგრძნობით, რაც არასოდეს არ გვაკლდა.

ამისათვის დღეს მოგვეპოვება ტეხნიკური შესაძლებლობანიც. შევიძინეთ ლინოტიპები და საროტაციო მანქანები, ეწყობა სტამბა, ერთი საუკეთესოთაგანი მთელს საბჭოთა კავშირში. ქართულ სტამბის ისტორიაში ეს უეჭველად რევოლიუციას უდრის. ამჟამად ჩვენი გაზეთი მეტ წილად უკვე ლინოტიპით იწყობა. იდგმება საროტაციო მანქანა. მოკლე ხანში ჩვენ დავიწყებას მივცემთ ძველ, „პირველყოფილ“ სასტამბო ტეხნიკას და მაშინ საშუალება გვექნება მთლიანად ახალ მანქანებით აწყობილი და დაბეჭდილი გაზეთი **თავის დროზე** მივაწოდოთ მკითხველს.

ამავე დროს გაზეთის შინაარსის უფრო გაუმჯობესებისაკენაა ჩვენი საქმიანობა მიმართული. მაგრამ ეს ვერ მოხერხდება მარტო გაზეთზე მუდმივად მომუშავე ძალებით. საჭიროა გარედან დახმარების გაწევა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქმე მოისუსტებს. დღეს ჩვენ არ შეგვიძლია არ გავახსენოთ თავისი მოვალეობა იმ ამხანაგებს, რომელთაც კალამი ემარჯვებათ, რომ მათ უფრო ახლობელი მონაწილეობა მიიღონ გაზეთში.

თავის-თავად იგულისხმება, რომ შემდეგშიც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას, უფრო უნდა გავაფართოვოთ მათი ქსელი, მეტი ორგანიზაციული და იდეური მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მათ შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერაც ვერ არის საბოლოოდ გადაჭრილი გაზეთის გავრცელების საკითხი. მარტო რედაქცია უძლური იქნება, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ხელს არ შეგვიწყობენ ამ საქმის მოგვარებაში.

მძიმე საგაზეთო მუშაობის 5 წელი განვლილია, მრავალი დაბრკოლება გადალახულია და მიღწევებიც თვალსაჩინო გვაქვს. თავის არსებობის მე-6 წელში გაზეთი შედის ღრმა რწმენით, რომ ის დასძლევს იმ ნაკლულოვანებებს, რომელნიც ახლაც აჩნევია მას. ამის თავდებია პარტიის დახმარება, მშრომელი მასის თანაგრძნობა, გაზეთის თანამშრომლების და მუშა და გლეხ კორესპონდენტების დაუზარელი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული მუშაობა.

მხურვალე სალამი ჩვენს მკითხველ მშრომელ მასებს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელთა და მუშა-გლეხ კორესპონდენტებს!

ლატვიის მთავრობამ ბოდიში მოიხადა

საბჭოთა დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმის გამო.

ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ მიღებულია ზომები საქმის გამოსარკვევად.

ლატვიის მთავრობის დეკლარაცია

მოსკოვი, 28 თებერვალი. ლატვიის ელჩმა მოსკოვში ოზოლსმა 27 თებერვალს ინახულა გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი არალოვი და ლატვიის მთავრობის დავალებით წაუკითხა მას შემდეგი დეკლარაცია:

„ლატვიის მთავრობა გამოსთქვამს თავის ულრმეს და გულწრფელ მწუხარებას იმის გამო, რომ ლატვიის ტერიტორიაზე 1926 წლის 5 თებერვალს ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმას, რასაც შედეგათ მოყვა ერთი დიპლომატიური კურიერის მოკვლა და მეორესი მძიმედ დაჭრა.

ლატვიის მთავრობა არწმუნებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ის იღებს და მომავალშიაც მიიღებს რაც შეიძლება ენერგიულ ზომებს ამ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედების სავსებით გამოსაშკარავებლად და იმ პირთა ან ორგანიზაციების აღმოსაჩენად, რომელნიც უშუალოდ ან არა პირდაპირ იღებდენ მონაწილეობას მასში. ამასთანავე ერთად ლატვიის მთავრობა მადლობელი იქნება საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართ ყოველგვარ დახმარებისათვის, რომლისაც ის გაუწევს ლატვიის საგამომძიებლო ხელისუფლებას ისეთი მასალების მიწოდებით, რომელნიც ასე თუ ისე ხელს შეუწყობენ ბოროტმოქმედების მონაწილე პირების ან ორგანიზაციების აღმოჩენას.

ლატვიის მთავრობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ლატვიაში აწვდის და მიაწოდებს მომავალშიაც ამომწურავ ინფორმაციას წინასწარ გამოძიების შესახებ. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ანალოგიურ შემთხვევებში, როცა მაგალითად დაზარალებული იქნებიან ლატვიის თანამდებობის პირნი, საბჭოთა კავშირის მთავრობა ასევე მოიქცევა.

გამოძიების დამთავრებამდე ლატვიის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია თავის შეკავება აღნიშნული ბოროტმოქმედების განსაზღვრულ დახასიათებისაგან. არც ერთი ცნობა ამის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ლატვიის პრესაში, კერძოთ, ცნობა, თითქოს გამორკვეული იყოს ბოროტმოქმედების სისხლის სამართლის ხასიათი, არც ერთი ასეთი ცნობა არ არის ოფიციალური და არ გამოხატავს ლატვიის მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს.

ლატვიის მთავრობა მიიღებს ყველა მის განკარგულებაში მყოფ ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ლატვიის ტერიტორიაზე ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეთა უშიშროება, რომელთაც მინიჭებული აქვთ დიპლომატიური წოდება, ან ითვლებიან საბჭოთა კავშირის მთავრობის უმაღლეს დაწესებულებების ოფიციალურ წარმომადგენლებათ. ლატვიის მთავრობა ენერგიულ ზომებს მიიღებს ცალკე პირების, ორგანიზაციების და პრესის ორგანოების, განსაკუთრებით, კი ემიგრანტების წინააღმდეგ, რომელნიც ლატვიაში სარგებლობენ თავის შეფარების უფლებით და ბოროტათ იყენებენ ამ უფლებას.

ლატვიის მთავრობა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ის სამწუხარო ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა, არ იქონიებს გავლენას ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის პასუხი

მოსკოვი, 1 მარტი. ლატვიის ნოტის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში ჩერნიხმა განაცხადა, რომ ლატვიის მოქალაქემ რომანენკომ, რომელიც ლატვიის სანაპირო რაზმის უფროსის თანამდებობას ასრულებდა და აწარმოებდა დაზვერვას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გადასწყვიტა გადმოსულიყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისი მუშაკების მთელს ჯგუფთან ერთად, რადგან ის უკმაყოფილო იყო თავისი მუშაობით და მისდამი დამოკიდებულობის. 12—13 თებერვალს ღამით ის თავის რამოდენიმე თანამშრომელთან ერთად ნებაყოფლობით წარუდგა საბჭოთა კავშირის სანაპირო ხელისუფლების წარმომადგენლებს. თავისი ნებაყოფლობით გადმოსვლის დასამტკიცებლად რომანენკომ წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომელიც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში ინახება.

რაც შეეხება ლატვიის ნოტაში აღნიშნულ მასლოვსკის, საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენლები მას არ იცნობენ, ხოლო რომანენკოს განცხადების თანახმად, ის ცხოვრობს სანაპირო რაიონში და მსახურობს ლატვიის მზვერავ რაზმში.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ ლატვიის მთავრობა შეცდომაში იყო შეყვანილი თავისი სანაპირო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ცნობებით, ამიტომ კომისარიატი მზად არის საშუალება მისცეს ლატვიის დიპლომატიურ მისიას მოსკოვში დარწმუნდეს ზემოდ ნათქვამის სიმართლეში რომანენკოს პირადი ჩვენების გაცნობით.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: აღნიშნული მიწერ-მოწერა მოწმობს, რომ ასეთი ჭორებით, თითქოს გატაცებიოთ ლატვიის სანაპირო რაზმელი, ზოგიერთი ელემენტები ცდილობენ ხელი შეუწყონ ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის.

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 1 მარტი. „იზვესტია“ მოწინავე წერილში სწერს:

„ლატვიის მთავრობა დეკლარაციით გამოვიდა ჩვენ დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5 თებერვალს. ჩვენი კავშირის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც გულდასმით და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ამ აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედების გამოძიების მსვლელობას, ლატვიის მთავრობის გამოსვლას კმაყოფილებით შეხვდება.

ლატვიის მთავრობა „არწმუნებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ის იღებს და მიიღებს ენერგიულ ზომებს იმისათვის, რათა სავსებით სააშკარაოზე იქნეს გამოტანილი ეს აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება და აღმოჩენილი იქნენ ის პირები ან ორგანიზაციები, რომელთაც ამასთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი აქვთ“.

5 თებერვლის ამბავი თეთრგვარდიელებმა, რომელნიც თავს აფარებენ ლატვიის ტერიტორიაზე, გამოიყენეს მტრული გამოსვლებისათვის ჩვენი კავშირის წინააღმდეგ. ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ ის გადამჭრელ ზომებს მიიღებს ცალკე პირების და ორგანიზაციების, განსაკუთრებით, ემიგრანტების წინააღმდეგ, რომელნიც ლატვიაში თავის შეფარების უფლებით სარგებლობენ და უფლებას ბოროტად იყენებენ. დაბოლოს, ლატვიის მთავრობა კისრულობს მის განკარგულებაში არსებულ ყოველივე საშუალებების მიღებას საბჭოთა კავშირის მოქალაქეების უშიშროების უზრუნველსაყოფად მათი ლატვიის ტერიტორიაზე არსებობის დროს.

ლატვიის მთავრობის დეკლარაცია გვპირდება, რომ მკვლელობა სერიოზულად იქნება გამოძიებული და მიღებული იქნება ზომები ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილ ძალების წინააღმდეგ. ამას ჩვენ კმაყოფილებით ვღებულობთ ცნობად. მაგრამ ჩვენ შეუსუსტებლად თვალყური უნდა ვადევნოთ გამოძიებას, რომელსაც ლატვიაში ახდენენ სათანადო ხელისუფლების წარმომადგენლები, დაუცადოთ ლატვიის მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ“.

მორიგი ჭორები

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა

მოსკოვი, 28 თებ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი იუწყება, რომ ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ლატვიაში ჩერნიხს მიმართა ნოტით, რომელშიაც ნათქვამია, რომ 12—13 თებერვალს ღამის 2 საათზე შეიარაღებულ პირთა ორი ჯგუფი, თვითეული სამ-სამი კაცისაგან შემდგარი, გადავიდა ლატვიის საზღვარზე და თავს დაესხა სანაპირო რაზმელს რომანენკოს და მის ცოლს მათ ბინაზე სოფელ პალიშინოში. თავდამსხმელებმა უგრძნობლად დასტოვეს რომანენკოს ცოლი, წაიღეს საბუთები და [illegible] აპარატი და წაიყვანეს რომანენკო ლატვია-საბჭოთა კავშირის საზღვრის მეორე მხარეზე.

ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ვერ მოასწრო საზღვარზე გადასვლა და დაპატიმრებულ იქნა ლატვიის ხელისუფლების მიერ. მას აღმოაჩნდა რევოლვერი. მისი სიტყვით ის არის ვინმე მასლოვსკი.

იუწყება რა ამის შესახებ, ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი სთხოვს სრულუფლ. წარმომადგენელს მოხდეს გამოძიება და ეცნობოს ლატვიის მთავრობას, თუ რა ბედი ეწია რომანენკოს.

როგორ მიმდინარეობს საბჭოთა არჩევნები

წინასწარი მუშაობა საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის უკვე ყველა მაზრებში და ავტონომიურ ერთეულებში დამთავრებულია. ახლა საქართველოს ყველა კუთხეებში ტარდება საბჭოთა არჩევნები. წინასწარ საარჩევნო კამპანიას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა იმდენათ, რამდენათაც ის ატარებდა მთელი სოფლის მოსახლეობის და მისი საზოგადოებრივი ძალების მობილიზაციის ხასიათს არჩევნების ირგვლივ. ამან გამოიღო თავისი შესაფერი ნაყოფი არჩევნების ჩატარების დროს. მაზრებიდან დაბრუნებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის რწმუნებულების შთაბეჭდილებით და ადგილებიდან წარმოდგენილი მოხსენებების მიხედვით სჩანს, რომ მიმდინარე არჩევნები ტარდება ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის მონაწილეობით.

ამ მხრივ ამომრჩეველთა ფართე აქტივობის გამოჩენაში დიდი როლი ითამაშა უწყებების სისტემის შემოღებამ. გლეხი დიდ მნიშვნელობას აძლევს მისულ უწყებას. როდესაც გლეხს მისდის უწყება, ეს ახდენს მასზე ერთგვარ ფსიქოლოგიურ გავლენას. ამომრჩეველი მაშინ გრძნობს თავის თავს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელად, და მთელი თავის შეგნებით იმსჭვალება იმ აზრით, რომ აუცილებლივ გამოცხადდეს საარჩევნო კრებაზე თავისი საკუთარი მოქალაქეობრივი მოვალეობის განხორციელებისათვის. მიღებული უწყება აიძულებს მას შეაფასოს თავისი თავი, როგორც ერთ-ერთი სრულუფლებიანი მოქალაქე, რომელსაც ევალება საბჭოთა ხელისუფლების არჩევაში უშუალოდ მონაწილეობის ძირითადი ორგანოს, ადგილობრივი ხელისუფლების მიღება. ამავე დროს, მაშასადამე, უწყებების დაგზავნას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა გლეხობის პოლიტიკური აქტივობის გამოჩენის საქმეში.

აი, სხვათა შორის, რით აიხსნება ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენა, რომლითაც ხასიათდება დღეს ჩვენი სოფელი ზოგგან არიან შემთხვევები, როცა, მაგ., თუ ოჯახში იმყოფება ხუთი, ან მეტი ამომრჩეველი, რომლებსაც მიუვიდა საარჩევნო უწყება, ყველანი დანიშნულ დროს ცხადდებიან საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ; ყოველგვარი ოჯახური ხასიათის დაბრკოლებანი ადვილათ ილახება, და ამომრჩევლები მიეშურებიან საარჩევნო კრებაზე, ხშირ შემთხვევაში, პაწია ბავშვებით ხელში. დედაკაცებიც შარშანდელთან შედარებით, მეტ აქტივობას იჩენენ ამ არჩევნებში. მოხუცი და ჯეელი, ოჯახის ყველა ჯანმრთელი წევრი, აგრეთვე ავადმყოფი, თუ ის ლოგინათ არ არის ჩავარდნილი, იკრიბებიან საარჩევნო კრებაზე და იღებენ მხურვალე მონაწილეობას კანდიდატების დახასიათებაში!

როდესაც საარჩევნო კომისიის რწმუნებული ხსნის კრებას, სწრაფად მყარდება წესიერება და დამსწრენი ისმენენ დღის წესრიგში დასმულ საკითხებს. ხშირ შემთხვევებში, მიუხედავათ იმისა, რომ წინასწარ საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს თემსაბჭოებმა გააკეთეს მოხსენება თავის მუშაობის შესახებ, საარჩევნო კრებაზედ დამსწრეთა მოთხოვნის მიხედვით ხელახლად ისმება საბჭოს მოხსენება. საარჩევნო კრებები ისმენენ გულმოდგინეთ მოხსენებას საბჭოების მუშაობის შესახებ და შემდეგ ხსნიან კამათს საბჭოს მოღვაწეობის შეფასების ირგვლივ.

თითქმის ყველა საარჩევნო კრებებზე ისმება აგრეთვე საკითხი „ნაკაზი“-ს (განაწესის) განხილვის შესახებ. უმრავლეს შემთხვევებში განაწესების პროექტი შემუშავებულია წინასწარ პარტორგანიზაციების მიერ სოფლის უღარიბეს წრეებთან ერთად. ამ განაწესებში აღნიშნულია ადგილობრივი პირობების მიხედვით ის ღონისძიებანი, რაც უნდა განახორციელოს ახლად არჩეულმა საბჭომ თემის ფარგლებში. უმთავრესად ნაკაზებში აღნიშნული საკითხები შეეხებიან ადგილობრივი ცხოვრების ტკივილებს და ყოფით მხარეებს: სოფლის გზების და ბოგირების შეკეთება, წყაროების გამოყვანა, სასწავლებლების შენობების შეკეთება, მათთვისვე შეშის დამზადება, ექიმის საჭიროებისთვის საერთო ძალღონით ცხენის შეძენა, ახალი საექიმო პუნქტის დაარსება და სხვა მრავალი პრაქტიკული მოთხოვნილებანი, რომელნიც გამომდინარეობენ ადგილობრივი ცხოვრების პირობებიდან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ განაწესები შეეხებიან მხოლოთ და მხოლოთ უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებს როგორც სამშენებლო, ისე სოფლის ცხოვრების სხვა დარგებში; ამომრჩევლები ავალებენ ახალ საბჭოს ისეთი საქმის გაკეთებას, რომელიც ძალუძს თემს და რომელიც წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას მოსახლეობისთვის. ამავე დროს საარჩევნო კრებები სრული პასუხისმგებლობის შეგნებით აღუთქვამენ საბჭოს განაწესში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში სრულ დახმარებას.

განაწესების განხილვის და დამტკიცების შემდეგ საარჩევნო კრებები გადადიან უკვე თვით საბჭოში ასარჩევ კანდიდატების სიის განხილვაზე. ამ შემთხვევაში კრება იღებს მთელი თავის შემადგენლობით მხურვალე მონაწილეობას: შემოაქვთ კანდიდატთა სიები, ასახელებენ სიტყვიერათ ახალ კანდიდატებს და ბოლოს, თვითეული მათგანის დაწვრილებით დახასიათების შემდეგ ხდება პერსონალურად კენჭის ყრა. ძველი საბჭოს უვარგის წევრებს არც ასახელებენ, ხოლო ყოფილი საბჭოს კარგ, ენერგიულ წევრებს ხელახლად ირჩევენ. საბჭოებში მეტ წილათ ირჩევენ სოფლის თვალში პატივისცემით და ავტორიტეტით აღჭურვილ პირთ, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას შეძლებული (მოკულაკეები) ელემენტები შეეცადენ საკუთარი კანდიდატების გაყვანას. აქა-იქ ჰქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, რომ სოფლის კულაკების გავლენის ქვეშ მოჰყვნენ ზოგიერთი უღარიბესი გლეხები და მათ საშუალებით საარჩევნო კრებაზე იქნენ დასახელებული კულაკებისთვის სასურველი პირები. მაგრამ საარჩევნო კრებაზე დამსწრე უღარიბესნი, კომუჯრედის, კომკავშირის და ყოფილ წითელარმიელების ხელმძღვანელობით ასეთ მოვლენებს უწევდენ სასტიკ წინააღმდეგობას; იმართებოდა ბრძოლა კანდიდატების ირგვლივ, რომელიც მთავრდებოდა კომუჯრედთან ორგანიზაციულად დაკავშირებულ სოფლის ღარიბთა წრეების გამარჯვებით.

უკვე ერთი თვეა, რაც არჩევნები მიმდინარეობს, 28 თებერვლამდე ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, 426 თემიდან არჩევნები ჩატარდა 183 (=43%) თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 53%; სულ არჩეულია საბჭოს 8.203 წევრი, ამათში ქალი 570—6,9%, კომუნისტი 985—12,0%; კანდიდატი 503—6,1%; ახ.ლ.კ.კ. წევრი 519—6,3% და უპარტიო 6.196—75,6%.

არჩევნების დამთავრება მაზრებში, თანახმად საქ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებისა, განზრახულია მარტის 15-ს. არჩევნების დამთავრების შემდეგ დაგროვებული მასალის დეტალურად დამუშავება მოგვცემს წლევანდელი საბჭოთა არჩევნების უფრო საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას და ნათელჰყოფს როგორც ჩვენს მიღწევებს, აგრეთვე იმ ზოგიერთ უარყოფით მხარეებს, რომლებიც თანსდევდა საარჩევნო კამპანიის ჩატარებას.

დ. აფციაური.

საბჭოთა პრესა

მანქანის შრომის დაცვა

საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნები უკვე გამოყენებულია თითქმის მთელი ასი პროცენტით. ბევრ ალაგას ისინი ზედმეტად დატვირთულია. როგორც ვიცით, ჩვენი მრეწველობის მოწყობილობა ისედაც მოძველებულ-გაცვეთილია; აქედან ხშირია მისი დამტვრევის და გაფუჭების შემთხვევები. სამრეწველო მოწყობილობის საფუძვლიანი შეკეთება ძნელია სათანადო სამარაგო ნაწილების სიმცირე-უქონლობის გამო. ამასთან ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ აქა-იქ ადგილი აქვს წარმოების შეფერხებას და შეჩერებასაც კი. ჩვენს წინაშე სდგას არსებული მოწყობილობის რიგიანი მოვლა-პატრონობის ამოცანა.

„საჭიროა,—სწერს „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“,—გამაფრთხილებელი ზომების მიღება, აუცილებელია ჩვენი ტეხნიკურ საშუალებათა დაზოგვითი, ეკონომიური ხარჯვა, საჭიროა მოწყობილობის მუშაობისათვის ისეთი რეჟიმის შექმნა, რომელიც მანქანას დაიცავს გაფუჭებისაგან და გაახანგრძლივებს მის მუშაობის უნარს.

ჩვენ ახლა შევდივართ ისეთ ხანაში, როცა შრომის რაციონალიზაციის და მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები უნდა დაისვას მანქანის შრომის სწორი გამოყენების გაგებით, მაგრამ ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა, ვიცოდეთ ძალების რა მარაგი გააჩნია ამა თუ იმ მოწყობილობას, საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ თვითეული მანქანა, და ამის მიხედვით დაწესდეს მისი მუშაობისათვის მტკიცე ნორმები და მკაცრი საზღვრები... მრეწველობის ტეხნიკურ საშუალებათა როლი დღევანდელ განსაკუთრებულ მომენტში იმდენად დიდია, რომ მათთვისაც უნდა შემოვიღოთ შრომის დაცვის ნორმები ისევე, როგორც ეს არსებობს მრეწველობაში ჩაბმულ ცოცხალ ძალებისათვის“.

სინამდვილეში კი ხშირად სხვანაირად ხდება. ტეხნიკურ მოწყობილობაზე ზრუნვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა; საქმე ის არის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანო საწარმოო გეგმის შედგენის დროს გამოდის იმ ანგარიშიდან, რომ თითქოს ფაბრიკა-ქარხნების ახლანდელი მდგომარეობის დროს შესაძლებელი იყოს ომის წინანდელი პროდუქციის რაოდენობის გამოშვება, მაშინ, როცა დღეს მათ ასეთი მუშაობის უნარი ბევრ შემთხვევაში არ გააჩნიათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაქსიმალური ნორმის დაწესებით დროებითი ეფექტი შეიძლება მივიღოთ, მაგრამ შემდეგისათვის, ეს გაცილებით უფრო საზარალო იქნება, ვინაიდან მოწყობილობის გაფუჭებას გამოიწვევს. გარდა სწორი ნორმის დაწესებისა, საჭიროა გავაძლიეროთ მანქანების ყოველმხრივი მოვლა. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-ხელის კვალიფიკაციის აწევას მანქანის რაციონალური გამოყენებისათვის. ამავე დროს ცხადია, რომ ძირითადი კაპიტალის განახლებისაკენ უნდა იყოს ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეული.

ბრძოლა მუდმივი ადგილებისათვის

ჩემბერლენი მხარს უჭერს ბრიანს

ლონდონი, 28 თებ. ინგლისის კაბინეტმა ხელახლა განიხილა ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდა.

„მანჩესტერ გარდიენის“ ლონდონელი კორესპონდენტი ამბობს, რომ კაბინეტში იწყება „რაღაც კრიზისის მაგვარი“. ჩემბერლენი თავგამოდებით იცავს ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთის და ესპანეთის დაშვებას და მზად არის გადადგეს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

ჩინეთის ელჩმა ლონდონში განაცხადა, რომ ჩინეთის შუამდგომლობა ერთა ლიგის საბჭოში მუდმივ ადგილის მიცემის შესახებ მიღებულია ლონდონში, მაგრამ გადაეცემა ერთა ლიგას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიური განცხადება შემოტანილი იქნება პოლონეთის, ესპანეთის და ბრაზილიის მიერ.

პრესის აზრით ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს გერმანიის დაშვებას ერთა ლიგის მარტის სესიაზე და საბჭოს გაფართოების საკითხის გადადებას სექტემბრამდე.

გერმანიის შეურიგებელი პოზიცია

ლონდონი, 1 მარტი. ბერლინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გერმანია შეურიგებელ პოზიციაზე ადგია ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხში. დელეგაცია ლიუტერის და შტრეზემანის შემადგენლობით გაემგზავრება ჟენევაში მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიიღებს იმის გარანტიას, რომ ერთა ლიგის საბჭოში გარდა გერმანიისა არავინ არ იქნება დაშვებული მუდმივ წევრებათ.

პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად მუსოლინიმ ინტერვიუში მხარი დაუჭირა საფრანგეთის პოზიციას ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის საკითხში. იაპონიის პოზიცია ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. რაც შეეხება ინგლისს, ჩემბერლენი პირადად მხარს უჭერს პოლონეთის მიღებას ერთა ლიგის საბჭოს წევრად, მაგრამ საკითხის გადაჭრას ის ანდობს კაბინეტს.

აღიარებენ ჩვენს მიღწევებს

ბერლინი, 23 თებ. ეხება რა გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას კრედიტების შესახებ „ფოსიშე ცაიტუნგი“ გამოსთქვამს იმედს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო ურთიერთობა მომავალში წარმატების გზით წავა. გაზეთი აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ ენერგიას, რომლითაც **საბჭოთა მთავრობამ შესძლო საბჭოთა კავშირის მეურნეობის მოწესრიგება, განსაკუთრებით ვალიუტის სტაბილიზაციის სფეროში.**

გაზეთი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ორგანოები განსაკუთრებულის კეთილსინდისიერებით ასრულებენ ყველა თავის ვალდებულებებს.

ბრიანის „გამარჯვება“

საფინანსო პროექტი მიიღო სენატმა

პარიზი, 28 თებ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ სენატმა 268 ხმის უმრავლესობით 21 წინააღმდეგ მიიღო საფინანსო პროექტი მთლიანად.

ბრიანის სულგრძელი და მგრძნობიარე სიტყვა

პარიზი, 1 მარტი. ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაციის გარშემო გამართულ კამათის დროს ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები „მგრძნობიარეს და სულგრძელს“ უწოდებენ.

ბრიანმა განაცხადა, რომ შინაგანი მღელვარებით შეხვდენ ერთმანეთს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გერმანიის პრემიერი ომის შემდეგ. „ნუ თუ, სთქვა მან, საფრანგეთის და გერმანიის ხალხები ყოველ საუკუნეში უნდა შეეჯახონ ერთმანეთს სისხლისმღვრელ ომებში?“

დეპუტატთა პალატა ფეხზე დგომით მიესალმა ბრიანს.

ხმების უმრავლესობით გადაწყდა ქუჩებში იქნას გამოკრული ბრიანის სიტყვა.

კრედიტის შემცირება სირიის და მაროკოს ომის საჭიროებისათვის

პარიზი, 28 თებ. დეპუტატთა პალატა იხილავდა საკითხს მაროკოს და სირიის ომების საჭიროებისათვის კრედიტების გაცემის შესახებ. კომფრაქციის პროტესტის შემდეგ დეპუტატთა პალატამ სოციალისტების წინადადებით **264 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 246-ისა მიიღო კრედიტების შემცირება 1 მილიონი ფრანკით.** სამხედრო მინისტრმა პენლევემ გაილაშქრა კრედიტების შემცირების წინააღმდეგ.

მდგომარეობა გერმანიაში

უმუშევრები

ბერლინი, 28 თებ. „ვოლფის“ სააგენტო იუწყება, რომ თებერვლის პირველ ნახევარში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 23.000 კაცით. ამგვარად, იმ უმუშევართა საერთო რიცხვი, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დახმარებას, უდრის 2.059.000 კაცს. დამატებით დახმარებას იღებს უმუშევართა ოჯახების 2.361.000 წევრი.

მღელვარება მეღვინეთა შორის

ბერლინი, 28 თებ. ძლიერდება მღელვარება მეღვინეთა შორის მდ. მოზელის რაიონში. მღელვარება წარმოიშვა გადასახადების დაუზოგავად აკრეფის და დაჯარიმების ნიადაგზე.

დასამშვიდებლად გაგზავნილი პოლიცია ბევრ ადგილას წინააღმდეგობას შეხვდა. ზოგიერთ ადგილას გლეხებმა განდევნეს პოლიციელები ცელებით და სამთითებით.

ბურჟუაზიული პრესა სცდილობს ახსნას გლეხ-მეღვინეების მღელვარება სეპარატისტების ზრახვებით და ხაზს უსვამს, რომ მღელვარების ადგილი შედის ოკუპაციაქმნილ ოლქში, სადაც გერმანელი ჯარები არ არიან და პოლიცია სუსტია.

ეროვნული გლოვის დღე

ბერლინი, 1 მარტი. გასული კვირა გამოცხადებული იყო გერმანიის ეროვნულ გლოვის კვირად, პრეზიდენტ ებერტის გარდაცვალების ერთი წლისთვის და ომის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად. მთავრობის შენობებზე ყველა დროშები დახრილი იყო. ჰინდენბურგმა თავის პროკლამაციაში განაცხადა, რომ „ევროპა სწავლობს ახალ ენაზე—ძმობის ენაზე ლაპარაკს“.

ბერლინი, 1 მარტი. ეროვნული გლოვის დღეს ჰინდენბურგმა და მთავრობამ გამოაქვეყნეს საერთო მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიას ვერ მოსპობენ, სანამ გერმანიის ხალხი ლოიალური და გაერთიანებული იქნება.

პირველი ნაბიჯი მონარქიისაკენ

ბერლინი, 28 თებ. ნაციონალისტების ფრაქციამ რეიხსტაგში შეიტანა წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ნაციონალისტების აზრით პირველ რიგში უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის ის მუხლი, რომლის თანახმად რეიხსკანცლერი და გერმანიის მთავრობის ყოველი წევრი თავისი თანამდებობის შესრულების დროს აუცილებლად აღჭურვილი უნდა იქნენ რეიხსტაგის ნდობით.

ფორდი იპყრობს გერმანიის ბაზარს

ბერლინი, 28 თებ. გამოირკვა, რომ **ამერიკის ავტომობილები გერმანიაში იყიდება ადგილობრივ დამზადებულ ავტომობილებზე იაფად,** მიუხედავად მაღალი საბაჟო ტარიფებისა და გადასაზიდი ხარჯების სიდიდისა.

ამჟამად ფორდი იღებს ზომებს, რომლითაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს თავისი გამარჯვება გერმანელ კონკურენტებზე: ფორდის წარმომადგენლობა ბერლინში აცხადებს, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ის გახსნის ავტომობილების ნაწილების შემაერთებელ საკუთარ სახელოსნოს. ამრიგად ფორდი განთავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, რადგან ავტომობილების ნაწილების შემოზიდვაზე არ არსებობს არავითარი გადასახადი. საავტომობილო წარმოების მუშების მცირე ხელფასი გერმანიაში კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ფორდისათვის. გარდა ამისა ფორდი ფიქრობს საკუთარი ბანკის დაარსებას გერმანიაში.

მთავრობის კრიზისი ნორვეგიაში

ლონდონი, 1 მარტი. ოსლოდან მიღებული ცნობით, ნორვეგიის მთავრობა დამარცხდა სტორტინგში საბიუჯეტო პროექტის შეტანის გამო კაბინეტი გადადგა. ახალი მთავრობა შესდგება კონსერვატიულ აგრარიებისაგან.

პოლონეთ-ლიტვას კონფლიქტი

ლონდონი, 28 თებ. პოლონეთმა და ლიტვამ მიმართეს ერთა ლიგას ნოტებით, რომელშიაც აღწერილია ამას წინად პოლონეთ-ლიტვას შორის მომხდარი კონფლიქტი. ერთი მხარე მეორეს აკისრებს პასუხისმგებლობას

სამშაბათს მარტის 2-ს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

ცაკის მდივანი **ხ. თოდრია**

დახმარება „გაჭირვებულებს“

1,5 მილ. გირვ. სტერლინგი მაღაროების მეპატრონეებს

ლონდონი, 1 მარტი. ინგლისის მაღაროების სამმართველო იუწყება, რომ მაღაროების მეპატრონეებს მიეცათ სუბსიდია 5.14.422 გირ. სტერლინგის რაოდენობით.

ლეიპციგის ბაზრობის გახსნა

ლონდონი, 1 მარტი. ლეიპციგში გაიხსნა საგაზაფხულო ბაზრობა.

ინგლისელ მუშების ბრძოლა

„მოქმედების კონფერენცია“

ლონდონი, 28 თებ. ინგლისის მუშათა მოძრაობის უმცირესობა 21 მარტს ლონდონში იწვევს „მოქმედების კონფერენციას“. კონფერენციისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს. უკვე შეტანილია განცხადება 150 სადელეგატო მანდატის მიღების შესახებ; ე. ი. წარმომადგენლობას ითხოვს 120.000 დარაზმული მუშა.

ფიქრობენ, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება 750.000 მუშა.

ტრედ-იუნიონების წევრ-ქალთა კრება

ლონდონი, 28 თებ. ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭო ახლო მომავალში განიხილავს წინადადებას პროფკავშირთა წევრ-ქალების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. განზრახულია, თვითეულ კავშირს მიეცეს წინადადება ყრილობის დელეგაციის არჩევის დროს დელეგაციაში შეიყვანონ თითო ქალი. ასეთი დელეგატი ქალები იქნებიან ამავე დროს ქალთა კონფერენციის დელეგატებიც.

პროფკავშირები ციფრებში

ლონდონი, 28 თებ. ამას წინად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობების თანახმად, ინგლისის პროფკავშირთა წევრების რიცხვი 1921 წ. 31 დეკემბრისათვის უდრიდა 4.458.147 კაცს, ე. ი. 89.270 კაცით მეტს, ვიდრე 1923 წელს. კავშირების თანხები 1924 წლის დამლევს უდრიდა 11.434.414 გირვ. სტერლინგს.

ჯარისკაცები—შტრეიკბრეხერებათ

ლონდონი, 28 თებ. ფელტამის მანქანების აღმშენებელმა მუშებმა 2 კვირის წინად გამოაცხადეს გაფიცვა 50 მუშის დათხოვნის და მათ მაგიერ სამუშაოზე ჯარისკაცების გამოყვანის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ქარხნების მეპატრონეები ლოკაუტის გამოცხადებით იმუქრებიან. მანქანების მშენებელ მუშების კავშირი თავის მოწოდებაში აცხადებს, რომ გაფიცვა გამოცხადებულია იმის გამო, რომ მთავრობა ცდილობს შტრეიკბრეხერებათ გამოიყენოს ჯარისკაცები, რაც საშიშარ პრინციპს წარმოადგენს. მთასაშიშ პრინციპს წარმოადგენს თუ მთავრობამ თავისი გაიტანა, ასეთსავე ზომებს მიმართავს იგი სამხედრო ავიაცი-

ყველა სახელმწიფო ქარხნების მუ-ის და ფლოტის სახელოსნოებში. შები მხარს უჭერენ გაფიცულ მუშებს.

გაფიცვა სიერა-ლეონაში

ლონდონი, 28 თებ. 14 თებერვალს დაიწყო რკინისგზელების გაფიცვა სიერა-ლეონაში (ინგლისის კოლონია დასავლეთ აფრიკაში).

აფრიკის სავაჭრო პალატა ურჩევს მთავრობას გაფიცულებთან შერიგებას. გუბერნატორი წინააღმდეგია მოლაპარაკების გაფიცულების მიერ მუშაობის განახლებამდე.

გაფიცულებმა დეპეშა გაუგზავნეს ინგლისის კოლონიათა მინისტრს ემერის, რომელმაც პასუხის ნაცვლად შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა გუბერნატორს:

„**მე მხარს უჭერ თქვენს მტკიცე პოზიციას.** თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე უნდა უპასუხო გაფიცულებს, გადაეცით მათ, რომ არა მსურს ჩავერიო ამ საქმეში“.

ლორდების დადგენილება

ლონდონი, 28 თებ. ლორდთა პალატამ უარჰყო კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის ხელფასის მინიმუმად კვირაში 14 მანეთის დაწესების შესახებ.

ჩინეთის ამბები

ლი-ჩინ-ლინის შეტევა.

პეკინი, 18 თებ. ჩინეთის გაზეთების ცნობით, მუკდენის გენერალი ლი ჩინ ლინის ჯარებმა 2.000 თეთრგვარდიელის დახმარებით დაიკავეს ქალაქი მაჩანი ტიანძინის სამხრეთით.

ლი ჩინ-ლინის ჯარები ჯავშნიანი ავტომობილებით შეეცადენ გაერღვიათ სახალხო არმიის ხაზი, მაგრამ ცდა უშედეგოთ დამთავრდა; 3 ჯავშნიანი ავტომობილი დამსხვრეულია, 1 ხელში ჩაუვარდა სახალხო არმიის ჯარებს.

ჩინეთის კომიტეტი.

ლონდონი, 18 თებ. ინგლისის ბანკირებმა, მრეწველებმა და სხვა კაპიტალისტებმა დაარსეს „ჩინეთის კომიტეტი“, რომელიც აერთიანებს ინგლისის წარმოებათა ყველა დარგებს ჩინეთში.

ბრატიანუ გადადგა

ბერლინი, მარტი. ბრატიანუს გადადგომა ოფიციალურად გამოცხადდა. ახალი კაბინეტის შედგენა გენერალ ავერესკუს დაევალა.

პარიზი, 1 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ბრატიანუს გადადგომის შესახებ გავრცელებულ ხმებს უარყოფენ.

იტალია—სამხრეთ-სლავიას შეთანხმება

ლოკარნოს იმედი არა აქვთ

პარიზი, 1 მარტი. „ნიუ-იორკ ჰერალდი“-ს ცნობით, მუსოლინიმ და ნინჩიჩმა შეიმუშავეს ახალი შეთანხმება იტალია-სამხრეთ სლავიის საზღვრების ურთი-ერთ დაცვის შესახებ. ისინი გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება ვერ იცავს მათ საკმაოდ გერმანიის თავდასხმისაგან.

თეთრ გვარდიელთა ბანაკში

ვრანგელის მიმდევრები ამოძრავდენ

ვენა, 28 თებ. სამხრეთ-სლავიის ცენტრალური პროფსაბჭოს გაზეთი „რადნიკი“ იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიაში მცხოვრებ ვრანგელელებს ყობა საბჭოთა კავშირის ზოგიერთ წარმომადგენლებზე საზღვარ-გარეთ.

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე

კაროლის ჩვენება

ვენა, 28 თებ. საფრანგეთის პოლიციის დაჟინებითი მოთხოვნით ბუდაპეშტში განახლდა ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის გამოძიება. უნგრეთის პოლიციამ დაჰკითხა გრაფი ემერიხ კაროლი. კაროლის ჩვენება აშკარად ამტკიცებს ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეში პრემიერ ბეტლენის ცოლის ძმის—ყოფილ პრემიერის ტელეკის მონაწილეობას.

ინგლისის საზღვაო პროგრამა

ლონდონი, 1 მარტი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პროგრამის თანახმად ასაგებ 24 გემის რიცხვში შედის 6 წყალქვეშა ნავი. ეს ექვსი წყალქვეშა ნავი დაჯდება 9 მილ. გ. სტერლინგი. საადმირალოს გადაწყვეტილი აქვს შეამციროს ახალი ხარჯთ-აღრიცხვა. ფლოტის პერსონალის შემადგენლობა არ იქნება შეცვლილი. მოსამსახურეთა საერთო რიცხვი დარჩება 102.675 კაცი.

სხვადასხვა

— **კანონპროექტი ელექტროფიკაციის შესახებ.** თემთა პალატაში მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი ელექტროფიკაციის შესახებ დროებით შეჩერებულია, რადგან სწარმოებს ახალი გამოკვლევანი პროექტის განსახორციელებლად. პროექტში მოცემულია მთელი გეგმა ელექტრო-აღმშენებლობისა.

— **საბერძნეთის საჰაერო ფლოტის რეორგანიზაცია.** ათინაში ჩავიდა ინგლისელი პოლკოვნიკი სემპფილი, რომელსაც მინდობილი აქვს საჰაერო ფლოტის რეორგანიზაცია. რეკონსტრუქციის დროს შემოღებულ იქნება ინგლისური მოტორები, რომლითაც ისარგებლეს აგრეთვე ესპანელ და ფრანგმა პილოტებმა სამხ. ამერიკაში გადაფრენის დროს.

— **პლასტირასის „ამნისტია“.** როგორც ათინიდან იუწყებიან, საბერძნეთის მთავრობამ მიანდო სკოპლეში(სამხ.-სლავიაში)მყოფ თავის კონსულს—გენერალ პლასტირასს მიეცეს საფრანგეთში წასასვლელი ნებართვა. პლასტირასი დიქტატორათ იყო მონარქიის ჩამოგდების შემდეგ. მას ბრალი ედებოდა არსებულ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში.

— **820.000 მუშას მოელის ლოკაუტი.** ინგლისის ტეხნიკურ წარმოებათა მეპატრონეების ფედერაციამ დაადგინა, 13 მარტიდან დაითხოვოს ტრედუნიონებში შემავალი ყველა მუშები, სანამ ახალი პირობები არ იქნება შემუშავებული. ეს ზომა გამოწვეულია ერთ ფირმაში 900 მუშის გაფიცვით. თუ ეს გაფიცვა შესწყდა, ლოკაუტიც მოხსნილი იქნება, თუ არა და ყველა წარმოების 820.000 მუშას მოელის ლოკაუტი.

— **„ფხიზელი ნორვეგია“.** როგორც ოსლოდან (ნორვეგია) იუწყებიან, ნორვეგიის მთავრობამ სტორტინგში შეიტანა წინადადება, რომ ოქტომბრისთვის მოეწყოს პლებისციტი მაგარ სასმელების აკრძალვის კანონის შესაცვლელად.

ექსპედიცია ევერესტზე. კალკუტიდან იუწყებიან, რომ ბრიუსი, რომელიც 1922—24 წელში მეთაურობდა ექსპედიციას ევერესტის მწვერვალზე, აწარმოებს მოლაპარაკებას ინდოეთის მთავრობასთან ახალი ექსპედიციის მოწყობის შესახებ.

საუბარი ბრიანთან

მოსკოვი, 1 მარტი. 12 თებერვალს გაზეთ „გუდოკის“ თანამშრომელი მიიღო საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ **ბრიანმა.** თანამშრომელი შეეკითხა ბრიანს, როგორი იქნება უმთავრესი საკითხები, რომლებიც უნდა გაარჩიოს მომავალ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციამ, და რას ფიქრობს ამაზე ბრიანი.

„ერთი უმთავრესი საკითხი, განაცხადა ბრიანმა, არის ვალების საკითხი, რომლის შესახებ უეჭველათ შეიძლება შეთანხმების მიღწევა, თუ ორივე მხარე მოინდომებს ამას. გარდა ამისა უნდა გაირჩეს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი ორივე მხარეს შორის ერთის მხრით, და დამოკიდებულება საერთაშორისო მდგომარეობისადმი, ან და სწორედ რომ ვსთქვათ, ევროპისადმი, მეორეს მხრით. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ ურთიერთობის საკითხს. შექმნილია სპეციალური კომისიები ამ საკითხების განსახილველად. **შესრულებული იქნება დიდი სამუშაო, რომელიც, ჩემის რწმენით, შეთანხმებით დამთავრდება.** ჩვენ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას ამ კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის გეგმის შესახებ, რასაც, უეჭველად, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ურთიერთ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის უსათუოდ გაუმჯობესდა. ჩიჩერინის პარიზში ჩამოსვლის დროს ჩვენ ერთად გავარჩიეთ მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებიც განსაკუთრებით სიძნელეს წარმოადგენდენ, და ბოლოს და ბოლოს გამოვიმუშავეთ საერთო აზრი.

რაც შემეხება მე, მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ საბჭოთა კავშირი დაიკავებდა თავის ადგილს ხალხთა ლიგაში, და არ-ვკარგავ იმედს, რომ ეს მოხდება. საბჭოთა კავშირი უკვე იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, რომლებიც ხალხთა ლიგამ მოაწყო. **იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კავშირი მიიღებს აგრეთვე მონაწილეობას მომავალ განიარაღების კონფერენციაში. ჩვენ ჩვენის მხრით რაც კი შეიძლება მივიღებთ ზომებს, რომ შევუმსუბუქოთ მას ეს.**

საფრანგეთის მთავრობა, განაგრძობს ბრიანი, ამ მოლაპარაკებაში უმთავრესათ ისახავს პრაქტიკულ მიზნებს და ყველაზე უფრო შეეცდება მეგობრულ შეთანხმების მიღწევას, რადგან ეს შეთანხმება უეჭველად კარგ გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის მდგომარეობაზე. როდესაც ეს მდგომარეობა საკმაოდ განმტკიცდება, ის უსათუოდ, ახალი ნაბიჯი იქნება ევროპაში მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

ვიმეორებ, რომ დამოკიდებულება ორივე ამ ქვეყნის შორის ამჟამად კარგია, რომ ეს დამოკიდებულება ნორმალურია, და ეს ნებას გვაძლევს დავიწყოთ სადაო საკითხების გადაჭრა ძლიერ ხელსაყრელ პირობებში. ცხადია, მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ კიდევ შევხვდებით ზოგიერთ სიძნელეებს, მაგრამ ისინი უნდა მოვაწესრიგოთ.

მე არ ვფიქრობ, რომ მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდეს. მრავალი საკითხი ცოტათ თუ ბევრად გადაწყვეტილია. სიძნელეებს ყველა სადაო საკითხების გადაჭრისთვის წარმოადგენენ საბჭოთა მთავრობის დოქტრინები. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ამ მთავრობის პოლიტიკამ საკმაო მოქნილობა შეინარჩუნა, რომელიც ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ კარგი შედეგების შესახებ.

„თქვენის აზრით, არის თუ არა ისეთი ძალები, რომლებიც წინააღმდეგი არიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმების? შეუძლიათ თუ არა მათ ამ შემთხვევაში გავლენა იქონიონ მოლაპარაკებაზე?“—შეეკითხა კორესპონდენტი ბრიანს.

—„**ჩემის აზრით, არა,** მიუგო ბრიანმა. მართალია, ლოკარნოს ხელშეკრულებას შეეძლო (დამახინჯებულია დეპეშაში)... მართლაც ამ ხელშეკრულობის ყველა მონაწილენი, განსაკუთრებით საფრანგეთი, ყოველთვის იმას ცდილობდენ, რომ არ დაეშვა ისეთი რამ, რაც საბჭოთა კავშირს ჩრდილს მიაყენებდა. ყოველ შემთხვევაში ლოკარნოს ხელშეკრულებაში არაა არავითარი უკანა ზრახვები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

შეკითხვაზე, თუ რა შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის სადაო საკითხების გადაჭრას მომავალ მოლაპარაკებაში, ბრიანმა უპასუხა:

—„**პირველად ის, რომ ამ მოლაპარაკებით ორივე ქვეყანა ძლიერ დაინტერესებული არის.**

შეთანხმება საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ დაწყებული ორივე მხარის ეკონომიური თანამშრომლობა“.

შეკითხვაზე, აძლევს თუ არა საფრანგეთის მთავრობა ანგარიშს იმაში, რომ მისთვისაა სასარგებლო თავისი მაგალითით ხელი შეუწყოს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც ეს ურთიერთობა არაა დამყარებული, ბრიანმა უპასუხა:

„**რასაკვირველია, მე გამოვიყენებ ყოველივე შესაძლებლობას, რომ ხელი შევუწყო ამას, და მე მგონია, რომ საბჭოთა კავშირი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას თვითონ შეუძლია დაამყაროს სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა.** უმთავრეს ხელის შემშლელად ამ საქმეში არის პროპაგანდის საკითხი. ეს საკითხი ისე უნდა მოგვარდეს, რომ ამან ხელი არ შეუშალოს კარგი ურთიერთობის დამყარებას.

შემიძლია კიდევ ერთხელ გაგიმეოროთ, რომ საფრანგეთის ხალხი საუკეთესო გრძნობებითაა გამსჭვალული რუსეთის ხალხისადმი, და არც-ერთი ჩვენგანი ვერ დაივიწყებს იმ მსხვერპლს, რაც ამ ხალხმა მიიტანა საერთო ინტერესებისთვის“.

აღმოსავლეთი

სპარსეთი

ინგლისელების საეჭვო მზადება

თეირანი, 28 თებ. სპარსეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დროს სპარსეთის ყურეს ნავთსადგურებში ჩამოვიდა ინგლისის 5 სამხედრო გემი.

ჩვეულებრივ კი სპარსეთის წყლებში ინგლისის მხოლოდ ორი კრეისერი იმყოფებოდა. ინგლისის ესკადრის გაძლიერების მიზეზი არ იციან.

მოელიან ინგლისის სამხედრო მისიას. ხმებია, რომ მისიას დაეკისრება სპარსეთის არმიის რეორგანიზაცია. სხვა ცნობების მიხედვით, მისია ჩამოდის სამხედრო ხელშეკრულების დასადებად სპარსეთსა და ირაქს შორის.

ოსმალეთი

სავაჭრო ხელშეკრულებები ოსმალეთთან

სტამბოლი, 28 თებ. დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის და ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

ვაშინგტონი, 28 თებ. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამერიკასა და ოსმალეთს შორის. ხელშეკრულება ამერიკას უპირატესობის მქონე ერის უფლებას ანიჭებს ბაჟების და სხვა საკითხებში.

იუნუს-ნადი საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმების შესახებ

სტამბოლი, 28 თებერვალი. იუნუს-ნადი გაზ. „ჯუმჰურიეტ“-ში მოთავსებულ მოწინავე წერილში უარყოფს შეხედულებას, თითქოს დე-ჟუვენელის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება დიდ დათმობებს აძლევდეს ოსმალეთს სირიის საკითხში.

ამასთან ერთად იუნუს-ნადი აღნიშნავს, რომ ინგლისის პრესის შიშ უნდა აქარწყლებდეს ოპტიმიზმი დე-ჟუვენელის, რომელიც ფიქრობს, რომ ჩემბერლენი მეგობრულად არის განწყობილი ოსმალეთის მიმართ.

ზომები უცხოელთა ორგანიზაციების წინააღმდეგ

სტამბოლი, 28 თებერვალი. ახალი გაზეთი „ენი ხეზ“ წინადადებას აძლევს მთავრობას მიიღოს ზომები უცხოელთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ოსმალეთის ტერიტორიაზე, არ დაერიდოს არც მათ დახურვას, თუ ისინი უცხოელ მოსამსახურეებს ოსმალებით არ შესცვლიან.

ინგლისის კოლეჯის დირექციამ არ დაუშვა ოსმალური ენის მასწავლებლად მთავრობის მიერ დანიშნული ოსმალო, რის გამო სახალხო განათლების სამინისტრომ განკარგულება გასცა 24 საათის განმავლობაში დახურულ იქნეს კოლეჯი, თუ დირექცია კვლავ უარს იტყვის. ინგლისის ელჩის ჩარევა უნაყოფო დარჩა.

ეგვიპტე

ეგვიპტეს საპარლამენტო არჩევნები

ლონდონი, 28 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ეგვიპტეს პარლამენტის არჩევნები 5 მაისისათვის დაინიშნა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამზადისი პურის კამპანიის ჩასატარებლად 1926 | 27 წელში.

მოსკოვი, 1 მარტ. სასოფლო კავშირი დიდ სამზადისს აწარმოებს პურის კამპანიის ჩასატარებლად 1926—27 წელში. ის მომხრეა, რომ შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო პურის სავაჭრო ორგანიზაცია და წინააღმდეგია ადმინისტრატიულ ზეგავლენისა ბაზარზე. ბოლოს კავშირს აუცილებლათ მიაჩნია პურის საგანგებო ცენტრის შექმნა, რომ უფრო კარგათ მოეწყოს გასაღების საქმე.

სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია.

მოსკოვი, 1 მარ. საკავშირო საზსაგეგმო კომისიასთან შემდგარმა თათბირმა აუცილებლათ სცნო, რომ სასოფ.-სამეურნეო ელექტროფიკაცია უნდა განვითარდეს კოოპერაციის გზით. ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ სასოფ. კავშირთან მოეწყო თათბირი კოოპ. ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მთავრობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ გაფართოვდეს კრედიტები ელექტროფიკაციის საჭიროებისთვის.

საქონლის ამერიკული ვაგონები

ნიჟნი-ნოვგოროდი, 1 მარ. სორმოვოს ქარხანა შეუდგა ამერიკული ტიპის საქონლის ვაგონების დამზადებას. ამ ვაგონებს შეუძლიათ ზიდონ 1800 ფუთი ტვირთი.

ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგური

ლენინგრადი, 1 მარტ. ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგურზე მიწის სამუშაო უკვე დამთავრდა. ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაო შესრულებულია 98 პროცენტით. ლითონის კონსტრუქციის აწყობა 80 პროც.

ყველა სამშენებლო მუშაობა დამთავრდება აპრილის ნახევრისთვის. შემდეგ საჭირო იქნება მხოლოდ შენობების შეკეთება.

ნეტტეს ხსოვნისათვის

მოსკოვი, 1 მარტი. ნეტტეს ხსოვნის უკვდავსაყოფათ რუსეთის მხატვრობის რევოლიუციონურ ასოსიაციასთან მოეწყო საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს თეოდორ ნეტტეს ძეგლის პროექტი.

უკრაინა

ყინვები ოდესის რაიონში

ოდესა, 1 მარ. ოდესის მთელ რაიონში არაჩვეულებრივი ყინვები დაიჭირა, რაც საერთოდ იშვიათი მოვლენაა ამ დროს.

ოდესის ნავთსადგურიც გაყინუ-

მოსკოვის პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობა

მოსკოვი, 1 მარ. გაიხსნა მოსკოვის პროფკავშირების მეშვიდე ყრილობა. მ. კ. მდივანმა ამხ. უგლანოვმა განაცხადა, რომ მოსკოვის პროფკავშირები ძალიან წინ წავიდენ მუშათა სამსახურის დარგში, რაც მიეწერება მეურნეობის საერთო აღორძინებას. ბოლო დროს ეტყობა შრომის ნაყოფიერების ჩამორჩენა ხელფასიდან. საერთო ძალღონით ეს განსხვავება უნდა მოვსპოთ.

შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რიკოვი.

საერთაშორისო რადიო-კონფერენცია

მოსკოვი, 1 მარტი. საზ. „რადიოგადაცემა“ მიიწვიეს [illegible] რადიოკონფერენციაზე, რომელიც შესდგება ჟენევაში 25 მარტს. საზ. „რადიოგადაცემამ“ რადიო-ტელეფონიის საერთაშორისო ბიუროს გაუგზავნა შემდეგი წერილი: „ჩვენ საზოგადოებას არ შეუძლია თავისი დელეგატები გაუგზავნოს ჟენევაში, რადგან შვეიცარიას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ“.

თურქოლოგიური ყრილობა

ბაქო, 1 მარტი. 27 თებერვალის სხდომაზე აკადემიკოს ბარტოლდის შემდეგ პროფესორმა ბოროზდინმა წაიკითხა მოხსენება თათართა კულტურის დარგში უახლეს აღმოჩენათა შესახებ.

შემდეგ პროფესორმა რედენკომ გააკეთა მოხსენება: „რა არის გაკეთებული ანატოლიის და ბალკანეთის ოსმალოთა შესასწავლათ და რა არის გასაკეთებელი“.

27 თებერვლის დილის სხდომაზე პროფესორმა ჩურსინმა წაიკითხა მოხსენება კავკასიის თათრების ეთნოგრაფიის შესწავლის შესახებ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ კავკასიის თათართა ეთნოგრაფიულ შესწავლას აქვს მნიშვნელობა, როგორც წმინდა მეცნიერული, ისე პრაქტიკულის მხრივ. ამ მიზნით მომხსენებლის აზრით საჭიროა ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაძიებლის შედგენა, არაბეთის, სპარსეთის, ოსმალეთის და ევროპის ავტორების ცნობების თავის მოყრა და აგრეთვე ბაქოში თურქოლოგიური ინსტიტუტის გახსნა.

შემდეგ გებაიდულინმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის თათართა ისტორიის და მათი კილოკავების შესწავლის უახლოეს ამოცანების შესახებ.

ოსმალო თათართა ტომების ისტორიის სერიოზულად შესასწავლად მომხსენებლის აზრით საჭიროა გამოიცეს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გასაგებ თათრულ ენაზე თარგმანები, ტექსტები და სხვა მასალები ოსმალთა ტომების ისტორიიდან, გარდა ამისა საჭიროა ოსმალურ ენაზე გადაითარგმნოს რუსეთის და საზღვარ-გარეთელ მეცნიერების მხარეში ჩვენი ხალხების ისტორიიდან, გაძლიერებული იქნას არქეოლოგიური გათხრანი და სხვა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს პროფესორი ჩობან-ზადე შემდეგ თემაზე: „თურქულ ენათა არაპირდაპირი კავშირი მონღოლურ, თუნღუზურ, ფინოუგრულ და იაფეტურ ენებთან“.

28 თებერვალის დილის სხდომაზე პროფესორმა გენკომ გააკეთა მოხსენება თათრულ და იაფეტურ ენების ნათესაობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით ეს საკითხი საკმაოთ შესწავლილი არ არის და ანალიზს უკეთებს იმ მეთოდებს, რომლითაც უნდა სწარმოებდეს კვლევა-ძიება ამ დარგში.

ბოლოს პროფ. პოპპე აკეთებს მოხსენებას თურქულ, მონღოლურ, ტუნღუზურ, ფინოუგრულ და სამოედურ ენათა ნათესაობის შესახებ.

თურქულ პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა

ბაქო, 1 მარტი. თათრულ პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა წარმოადგენს უდიდეს ინტერესს უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში. გამოფენაზე წარმოდგენილია 48 გაზეთი, მრავალი ჟურნალები ბროშიურები და სხვადასხვა მიმართულების გამოცემები.

ამ | კავ. სამეცნიერო საზოგადოებათა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა

ბაქო, 1 მარტი. საერთო სამეცნიერო მუშაობის განსავითარებლად და განსამტკიცებლად სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში 2 მარტს, აღმოსავლეთის მცოდნეობის ასოციაციის თაოსნობით გაიმართება ამიერ-კავკასიის სამეცნიერო საზოგადოებათა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პავლოვიჩი. ბოროზდინი გააკეთებს მოხსენებას „არქეოლოგია და სოციალიზმი“. ველტმანი „კინოს თანამედროვე ამოცანები აღმოსავლეთში“. ჩურსინი „კავკასიის ეთნოგრაფიის ამოცანები“. ზუმმერი „აზერბეიჯანის ხელოვნება“. ბაშკიროვი „თათართა ხელოვნება“. და ალექსანდროვიჩი „აზერბეიჯანის ძეგლების შესწავლა“.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია სომხეთში

ლენინაკანი, 1 მარტი. 28 თებერვალს, დილის 7 საათზე ავსტრიის დელეგაცია მოვიდა ლენინაკანში. დელეგაციას გერმანულათ მიესალმა პროფბიუროს ერთ-ერთი წევრი. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის წარმომადგენელმაც.

ერევანი, 1 მარტი. 28 თებერვალს, შუადღის 1½ საათზე ავსტრიის დელეგაცია მოვიდა ერევანში. სადგურზე შეეგებენ პროფკავშირების წარმომადგენლები და მრავალი მუშები. ქალაქი დიდი ზეიმით შეეგება. აღმასკომთან შესდგა დიდი მიტინგი, რის შემდეგაც დელეგატები გაემგზავრენ ეჩმიაძინში. იქ დაათვალიერეს ყველა ღირსშესანიშნავი ადგილები და ინახულეს ქათალიკოსიც.

საღამოს 7 საათზე ერევანში, კულტურის სახლში შესდგა პროფკავშირთა საზეიმო სხდომა. სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი და დამთავრდა საპატივსაცემო ბანკეტით.

პარტიული ცხოვრება

ქარხანა „თემქას“ უჯრედის გამოკვლევის შედეგები

მოისმინეს რა კომისიის მოხსენება ქარხანა „თემქას“ უჯრედის მუშაობის შესახებ და უჯრედის მდივნის თანამოხსენება, შინაური თათბირი და თბილისის კომიტეტის სამდივნო უჯრედის მუშაობას სთვლიან დამაკმაყოფილებლად.

აღნიშნავს რა უჯრედის მიღწევებს უჯრედის საშინაო მუშაობაში (უჯრედის წევრთა უმრავლესობის ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში, ავტორიტეტის განმტკიცება უპარტიო მუშებს შორის, თბილისის კომიტეტის სამდივნო აუცილებლად სთვლის:

1) უნდა დაიშალოს უჯრედის ცალკე კომისიები და მათი ადგილი უნდა დაიკავონ სათანადო ორგანიზატორებმა.

2) უნდა მიექცეს დიდი ყურადღება იმას, თუ როგორ ასრულებენ უჯრედის წევრები მათზე დაკისრებულ ამოცანებს.

3) უჯრედის ბიურომ უნდა მიიღოს ზომები, რათა უჯრედის წევრები თავისი სამაგალითო დისციპლინით წარმოადგენდენ მაგალითს უპარტიოთათვის.

4) საქარხნო კომიტეტის მომავალი არჩევნების დროს უჯრედის ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს საქარხნო კომიტეტის მუშაობაში რაც შეიძლება მეტი უპარტიო მუშების ჩაბმას.

5) აღინიშნულ იქნეს უჯრედის საშეფო მუშაობის შესუსტება შეფობაში აყვანილ სოფლების სიმრავლის გამო და შემცირდეს სოფლების რაოდენობა, საშეფო საზოგადოების შესაძლებლობებთან შეფარდებით.

6) კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებულ იქნეს მომზადებული ამხანაგი და საერთოდ გაძლიერებულ იქნეს კომპარტიის უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედის მუშაობით.

7) უჯრედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოო თათბირების მუშაობას და უკანასკნელის საქმიანობაში უპარტიო მუშების ფართო ფენების ჩაბმას, საწარმოო თათბირის წინაშე დასმულ საკითხების და მიზნების ახსნა-განმარტების გზით.

8) რაიკომის მიერ უჯრედის ხელმძღვანელობაში უნდა აღინიშნოს მჭიდრო კავშირი, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ჩაითვალოს უჯრედის მოხსენებების მოსმენა ორგთათბირზე და რაიკომის პრეზიდიუმის მიერ.

ადგილობრივ ორგანიზაციებიდან

ლეწურწუმის კომუჯრედი.

(ზუგდიდის მაზრა)

ეს უჯრედი აერთიანებს 12 წევრს და 5 კანდიდატს. კრებები იმართება თვეში ორჯერ. ეწყობა უჯრედის ღია კრებები, სადაც ირჩევა სხვადასხვა საკითხები. ღია კრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ღარიბი და საშუალო გლეხები; აგრეთვე ყოველ პარასკეობით მიმდინარეობს პოლიტმეცადინეობა. პოლიტმეცადინეობას ნაკლებად ესწრებიან პარტწევრები და კანდიდატები. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება უჯრედის ბიურომ.

გვაქვს კავშირი რაიკომთან. ყოველ ხუთმეტ რიცხვში რაიკომის მდივანი ათვალიერებს უჯრედს და ესწრება უჯრედის ბიუროს სხდომებს.

ი. წურწუმია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

შინდის ა. ლ. კ. კ. უჯრედი.

(ოზურგეთის მაზრა).

შინდის უჯრედი არსებობს 1922 წლიდან. პირველად ის აერთიანებდა 8 წევრს. უნდა ითქვას, რომ ამ უჯრედს თავიდან საქმიანი და ნაყოფიერი მუშაობა ემჩნეოდა. მან შესძლო თავის რიგებში მიეზიდა უპარტიო ახალგაზრდობა. დღეს ჩვენი უჯრედი აერთიანებს 40 წევრს. უჯრედთან ჩამოყალიბებულია პოლიტკითხვათა ჯგუფი, პოლიტწრე, ახკორთა წრე, საზოგადოება „რემედასს“-ი და სხვ. უპარტიოებთან დამოკიდებულება კარგია, რაიც მტკიცდება იმით, რომ დღითი-დღე შემოდიან განცხადებით კავშირში მიღების შესახებ.

პარტიასთან წარმომადგენლობითი სისტემა დაცულია.

საბჭოს არჩევნების წინასწარ სამზადისში პარტიასთან ერთად კომკავშირიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

ეს უჯრედი ეხმარება ქვრივ-ობლებს და ღარიბ-ღატაკებს. ასე, მაგალითად, ზამთრის დასაწყისში ერთ ქვრივ-ღარიბს, რომელსაც ობლები ყავდა და არ შეეძლო შეშის მოტანა, კომკავშირმა ტყეში კოლექტიურად დაუმუშავა შეშა და მიუტანა სახლში.

ამიტომ არის, რომ დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობთ უპარტიო მასაში.

ქ.

ამხ. ილარიონ თოდუას [illegible]

23 თებერვალს, ღამის 3 საათზე, კომპარტიის რიგებს გამოაკლდა დაუღალავი მუშაკი ამხ. ილარიონ თოდუა. კომუნისტურმა პარტიამ დაჰკარგა ორგანიზატორი საუკეთესო წევრი. საგანგებო კომისიამ უშიშარი და მედგარი მებრძოლი. მისმა მეგობრებმა და ამხანაგებმა კარგი მეგობარი და ამხანაგი.

მენშევიკური ბატონობის დროს ერთი წუთითაც არ უგრძნია ამხ. ილარიონს დაღალვა. ის ენერგიულად, მტკიცედ [illegible] და არას დროს არ ულალატნია მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის.

დღიდან გასაბჭოებისა ამხ. ილარიონი საგანგებო კომისიის მებრძოლთა მოწინავე რიგებშია. [illegible]



იცის, რომ საგანგებო კომისია მტკიცე და შეურყეველი დარაჯია მშრომელთა ინტერესების, და ამიტომ არის, რომ [illegible] ასრულებს მასზე დაკისრებულ მეტად მძიმე მოვალეობას.

მაგრამ საუბედუროდ მენშევიკურმა ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას (მენშევიკების [illegible] მიერ გამოწვეული [illegible] ჩაიბუდა მის ორგანიზმში და [illegible] წლები განმავლობაში ის ტანჯავდა მას.

მძიმე მუშაობის პროცესში ამ [illegible] მძიმე ტკივილს ის ვერ გრძნობს, ამხ. ილარიონს არა აქვს დრო იექიმოს. როდესაც მის საშუალება [illegible] დაესვენა და იექიმა, მან ექიმის ხელში დალია სული.

გამოუთქმელ მწუხარებას გახვევს [illegible] ჩვენ, მისი ამხანაგები, მით, რომ ჩვენს მჭიდროთ შეკავშირებულ და უძლეველ რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ამხანაგი. ვფიქრობთ, რომ დღეიდან ჩვენს რიგებში ადგილს [illegible] ჩვენი, ენერგიული და საქმის მოყვარე—ჩვენი კარგი მეგობარი.

მშვიდობით ჩვენო თანამებრძოლო ამხ. ილარიონ, მშვიდობით [illegible] და პატარა მუშაკო, მშვიდობით საუკეთესო მეგობარო და ამხანაგო! შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება შენი ამხანაგების გულში.

ქ. მიქავა.

ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ა. კ. ორგანიზაციათა მეოთხე ყრილობა

მეორე სხდომა

28 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა

ამხანაგ კუჩეროვის მოხსენება

ა.-კ. ორგანიზაციათა მდგომარეობის შესახებ

მომხსენებელმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნა უკანასკნელი წლის მიღწევები. ქვეყნის საერთო ეკონომიური მოღონიერების ნიადაგზე გაიზარდა მასების აქტივობა და თვითმოქმედება,—სთქვა ამხ. მომხსენებელმა,—როგორც სოფლად, ისე ქალაქად. თავის თავად ცხადია, გამოცოცხლება ახალგაზრდობასაც დაეტყო: გაძლიერდა ლტოლვა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღებისაკენ. ჩვენ უნდა მოგვენახა მუშაობის ისეთი გზები და მეთოდები, რომ დაგვეკმაყოფილებია ეს ლტოლვა და ჩვენს კალაპოტში ჩაგვეყენებია ის.

გადავიდა რა ახალგაზრდათა ანტი-კომუნისტურ ორგანიზაციების მდგომარეობის დახასიათებაზე, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთი ორგანიზაციები გაიხრწნენ და დაიშალენ, როგორც საქართველოში, ისე სომხეთშიაც. რაც შეეხება აზერბეიჯანს, იქ ახალგაზრდათა ანტიკომუნისტური ორგანიზაციები მაინცა და მაინც აქტიური არას დროს არ ყოფილან.

საანგარიშო ხნის განმავლობაში აღსანიშნავია ის, რომ ორგანიზაციაში განმტკიცდა პარტიული გავლენა. კომკავშირმა მონაწილეობა მიიღო იმ დისკუსიებში, რომელიც გაიმართა პარტიაში, და დაამტკიცა, რომ ის მტკიცეთ სდგას პარტიის უმრავლესობასთან ერთად ლენინიზმის სადარაჯოზე.

ამავე ხნის განმავლობაში კომკავშირის რიგები ამიერ-კავკასიაში ერთიორად გაიზარდა. ასე, მაგალითად, მესამე ყრილობისათვის ამ.-კავკ. ორგანიზაციებში სულ 49 ათასი წევრი და კანდიდატი იყო, ამ ჟამად კი მარტო წევრების რიცხვი ავიდა 115—118 ათასზე, ხოლო, გარდა ამისა, რამოდენიმე ათეული ათასი კიდევ კანდიდატები არიან. ორგანიზაციის წევრთა რიცხვის ასეთი ზრდა იმას ამტკიცებს, რომ კომკავშირის გავლენა შეიჭრა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის შუაგულში, რომ ჩვენი კავშირის ავტორიტეტი გაიზარდა უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობის თვალში. ეს გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა მიზანშეწონილი იყო, არამედ უმთავრესად იმ საერთო მდგომარეობით და მიღწევებით, რომელიც გვაქვს ჩვენ ეკონომიურ დარგში.

ორგანიზაციის ზრდა სწარმოებდა უმთავრესად გლეხურ ახალგაზრდობის ხარჯზე.

ეკონომიური მუშაობის დარგში მომხსენებელმა აღნიშნა მუშურ ახალგაზრდობის ხელფასის გადიდება. თუ მესამე ყრილობისათვის ახალგაზრდა მუშის საშუალო ხელფასი 16—17 მანეთს არ აღემატება, ამ ჟამად ის 22—24 მანეთამდის ადის, ხოლო წარმოებათა ცალკე დარგებში 29 მანეთსაც აღწევს. ახალგაზრდათა ჯავშნის შევსების მხრივ წარმოებებში ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევები, მაგრამ მომავალში ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

უმუშევრობა ყველა რესპუბლიკებში საგრძნობია. მიუხედავათ იმისა, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში სამუშაოთ გაიგზავნა ორი ათასამდე უმუშევარი ახალგაზრდა, დღეს უმუშევართა რიცხვი მაინც მეტია, ვიდრე მესამე ყრილობისათვის იყო. ყველა რესპუბლიკებში დღეს ხუთნახევარი ათასი უმუშევარი ახალგაზრდა არის.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა პოლიტგანმანათლებელ მუშაობაზე და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები ამ დარგში. პოლიტგანმანათლებელ მუშაობას აფერხებს ის, რომ კავშირში დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. ამ ჟამად ყველა ორგანიზაციებში 17 ათასი წევრი და კანდიდატია ისეთი, რომელმაც არ იცის წერა-კითხვა.

ორატორი გადავიდა შემდეგ კავშირის აქტივის, პარტბირთვის და ჯარში მუშაობის დახასიათებაზე.

პიონერთა ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. ამ ჟამად ის აერთიანებს 140 ათას პიონერს. მათ შორის მუშაობას აფერხებს შესაფერისი მატერიალური ბაზის სიმცირე და გამოცდილ ხელმძღვანელთა ნაკლებობა.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა კავშირის უახლოეს ამოცანებზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭირო არის კავშირში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება.

დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. **კუჩეროვის** მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილე ამხანაგები, განსაკუთრებით აღნიშნავდენ ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების საჭიროებას, ლიტერატურის სიმცირეს, ინსტრუქტორთა და ადგილობრივ კომიტეტების მუშაკთა სიმცირეს და სხვ.

მესამე სხდომა

კამათი კვირა საღამოს სხდომაზეც გაგრძელდა.

მეოთხე სხდომა

პირველ მარტის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ა. კ. საოლქო კომიტეტის მოხსენების გარშემო. ამხ. კუჩეროვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ შემდეგი დადგენილება მიიღო:

რეზოლიუცია ამხ. კუჩეროვის მოხსენების გამო

მოისმინა რა ამხ. კუჩეროვის მოხსენება ახალგ. ლენინურ კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის მუშაობაზე, მეოთხე ყრილობა საოლქო კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სავსებით, სწორედ და პრაქტიკულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად აღიარებს.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა

ამხ. გეგეჭკორის მოხსენება

მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის განათლების შესახებ

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებამ გააძლიერა ლტოლვა განათლებისაკენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში.

კულტურულ მოთხოვნილების ზრდას უნდა გამოხმაურებოდა განათლების შესაფერისი ორგანოები.

როგორია განათლების მდგომარეობა ა.-კავკასიაში.

მესამე ყრილობიდან მეოთხემდე აღსანიშნავი ის არის, რომ განათლების სისტემა ნაწილობრივ უკეთ შეეფერება ჩვენი ქვეყნის ეკონ. მოთხოვნილებებს. გაიხსნა გლეხ. ახალგ. სკოლები, გაცხოველდა მუშაობა საფაბრიკო - საქარხნო სასწავლებლებში და სხვა.

მაგრამ მიუხედავად ამისა სკოლების დიდი ნაწილი მაინც ვერ არის მოწყობილი, ისე როგორც საჭიროა.

დღევანდელი სკოლა უმეტეს ნაწილად ჩვენი წარმოებისა და სასოფლო-მეურნეობისათვის გამოსადეგ მუშებს მაინც ვერ იძლევიან.

განათლების საქმის ხელმძღვანელობაში განსაკუთრებით მოკლე ვადიან კურსების მოწყობაში დიდი არევ-დარევა სუფევს, ამ კურსებს ყველა აწყობს და ხელმძღვანელობის ერთიანი სისტემა არ არის დაცული. ამის შედეგია ის, რომ სწავლა-განათლების საქმე იქ ვერ არის დაყენებული და კურსები საქმისათვის თითქმის სავსებით გამოუსადეგარ ახალგაზრდებს იძლევა.

გადავიდა რა უახლოვესი ამოცანების გაშუქებაზე სწავლა-განათლების დარგში ამხანაგმა მთელი რიგი ღონისძიებები დაასახელა იმისათვის, რომ სწავლა-განათლების სისტემა თავის სიმაღლეზე დადგეს.

უმთავრესია აქ ის, რომ სწავლა-განათლების სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ პირობებთან შეფარდებით უნდა მოეწყოს და სავსებით იყოს დაკავშირებული საწარმოო განვითარების გეგმასთან.

დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არჩევნები

როგორ არ უნდა ხდებოდეს არჩევნები

როგორც სხვაგან, ისე კინჩხის თემში, გლეხკაცობაში დიდი გამოძახილი ჰპოვა მიმდინარე არჩევნებმა. არასოდეს ჩვენს თემს არ ახსოვს ისეთი მრავალრიცხოვანი საარჩევნო კრება, როგორც ეს წელს იყო. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კრების ხელმძღვანელებმა ვერ გამოიყენეს ამომრჩეველთა ასეთი სულისკვეთება. მათ გვერდი აუხვიეს ცაკის მიერ გამომუშავებულ საარჩევნო დებულებებს და თავის ჭკუით აწარმოეს არჩევნები.

ეს, რასაკვირველია, უშედეგოთ არ ჩაივლის ახალ საბჭოს მუშაობისათვის. ჯერ ერთი იმ წესით არჩეულ საბჭოს, რომლითაც აქ ჩატარდა არჩევნები სამ უბანში, არ შეუძლია ნდობა მოიხვეჭოს მშრომელი გლეხკაცობის თვალში, გარდა ამისა, თვით მოსახლეობაც უკმაყოფილოა იმით, რომ მათ თავზე მოახვიეს ზოგიერთი არასასურველი პირი, არ მიიღებს ახლო მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში და ამნაირათ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ახალი საბჭო გარიყული დარჩება.

ამასთან ერთად არჩევნების ისეთი წესით ჩატარება, როგორც ეს ჩვენი თემის სამ უბანში მოხდა, ცუდ გავლენას ახდენს ფართო თვითმოქმედების გზაზე შემდგარ გლეხებზე და [illegible] მათ ამ თვითმოქმედების ხალისს.

როგორ ჩატარდა აქ არჩევნები? კომისიის მიერ წარმოდგენილი საკანდიდატო სია კრებამ არ მიიღო და წამოაყენა ახალი სია. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი წესი სავსებით დასაშვებია, კომისიამ არ მიიღო ახალი სია და მაინც მის მიერ წარმოდგენილი სიით ჩაატარა არჩევნები.

რასაკვირველია, კომისიას ამდენი თავის მტვრევა არ დასჭირდებოდა, რომ თემში წინასწარ ჩატარებული ყოფილიყო ღარიბ და საშუალო გლეხთა კრებები ისე, როგორც ეს სხვაგან მოხდა. მაგრამ სწორეთ იმიტომ, რომ ეს სამზადისი ვერ იყო ხეირიანათ ჩატარებული, კრებაზე წამოჰყო თავი სამართლიანმა უკმაყოფილებამ ზოგიერთ კანდიდატების მიმართ, რასაც საარჩევნო კომისიამ ანგარიში არ გაუწია.

გარდა ამისა უკანონოთ სწარმოებდა თვით კენჭის ყრაც. დასახელებული კანდიდატები სასწავლებლის აივნიდან გადმოჰყურებდენ ამომრჩევლებს და ამრიგათ ბევრი იძულებული იყო თავი დაეჭირა მათ წინააღმდეგ ხმის მიცემისაგან.

ამომრჩეველთა შორის მხოლოდ პარტიის წევრები და კომკავშირლები იჩენდენ საჭირო გაბედულებას, რომელნიც მოურიდებლათ სწევდენ ხელს არასასურველ კანდიდატების წინააღმდეგ.

კინჩხის მაგალითი, როგორც ვიცით, თავისთავად იშვიათი მოვლენაა. საარჩევნო კომისიები უკვე საკმაოთ გაერკვნენ პარტიის და ხელისუფლების დირექტივებში მიმდინარე არჩევნების დროს. მაგრამ სჩანს, მაინც შესაძლებელი ყოფილა საერთო ხაზიდგან გადახვევა. ვფიქრობთ, სანამ კიდევ გვიან არ არის, ეს შეცდომა გამოსწორებული იქნება სათანადო ორგანოების მიერ.

ქარიშელი.

სად როგორ ჩატარდა არჩევნები

ბორჩალოს მაზრაში—31 თემიდან არჩევნები დამთავრდა 23 თემში. ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 48 პროცენტს. სულ არჩეულია საბჭოს 495 წევრი, ამათში — 26 ქალი; კომუნისტი — 45, კანდიდატი — 31, ახ. ლ. კ. კ. წევრი 42 და უპარტიო — 377.

გორის მაზრაში — 33 თემიდან არჩევნები დამთავრდა 5 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 66 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 348 წევრი; ამათში — 38 ქალი; კომუნისტი—59 კანდიდატი — 31, ახ. ლ. კ. კ. წევრი 47 და უპარტიო — 211.

დუშეთის მაზრაში — 20 თემიდან არჩევნები დამთავრდა 15 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 55 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 544 წევრი; ამათში — 27 ქალი; კომუნისტი —55, კანდიდატი — 56, ახ. ლ. კ. კ. წევრი —50 და უპარტიო —383.

თელავის მაზრაში—19 თემიდან არჩევნები დამთავრდა 14 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 53 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 664 წევრი; ამათში — 95 ქალი; კომუნისტი— 52, კანდიდატი — 38, ახ. ლ. კ. კ. წევრი— 73 და უპარტიო — 501.

სიღნაღის მაზრაში—32 თემიდან არჩევნები დამთავრდა 7 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 38 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 342 წევრი; ამათში — 38 ქალი; კომუნისტი— 89, კანდიდატი — 9, ახ. ლ. კ. კ. წევრი—24 და უპარტიო — 220.

თბილისის მაზრაში — 18 თემიდან არჩევნები დამთავრდა 3 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 50 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 141 წევრი; ამათში — 19 ქალი; კომუნისტი —14, კანდიდატი — 17, ახ. ლ. კ. კ. წევრი —4 და უპარტიო — 106.

ზემო-სვანეთის მაზრაში — 15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 5 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 36 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 45 წევრი; ამათში — 3 ქალი; კომუნისტი — 7, კანდიდატი — 6, ახ. ლ. კ. კ. წევრი— 4 და უპარტიო —28.

ზუგდიდის მაზრაში—19 თემიდან არჩევნები დამთავრდა 17 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 63 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 404 წევრი; ამათში — 50 ქალი; კომუნისტი 58 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 342 —26 და უპარტიო — 269.

ლეჩხუმის მაზრაში — 15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 8 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 58 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 265 წევრი; ამათში — 18 ქალი; კომუნისტი — 69, კანდიდატი — 22, ახ. ლ. კ. კ. წევრი — 26 და უპარტიო — 148.

ხონის მაზრაში — 39 თემიდან არჩევნები დამთავრდა 4 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 56 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 74 წევრი; ამათში — 6 ქალი; კომუნისტი —22, კანდიდატი — 7, ახ. ლ. კ. კ. წევრი —6, და უპარტიო — 39.

ქუთაისის მაზრაში—47 თემიდან არჩევნები დამთავრდა 27 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 54 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 1.288 წევრი; ამათში — 57 ქალი; კომუნისტი — 62, კანდიდატი — 70, ახ. ლ. კ. კ. წევრი — 38 და უპარტიო —1.118.

შორაპნის მაზრაში — 36 თემიდან არჩევნები დამთავრდა 9 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 47 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 432 წევრი; ამათში — 43 ქალი; კომუნისტი — 57, კანდიდატი—16, ახ. ლ. კ. კ. წევრი — 30 და უპარტიო —329.

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—14 თემიდან არჩევნები დამთავრდა 6 თემში; ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ უდრის 69 პროცენტს; სულ არჩეულია საბჭოს 396 წევრი; ამათში—43 ქალი; კომუნისტი—94, კანდიდატი 34, ახ. ლ. კ. კ. წევრი — 33 და უპარტიო — 235.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ცნობების თანახმად 368 თემიდან არჩევნები ჩატარებულია 143 თემში. არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობა უდრის საშუალოდ 55 პროცენტს. სულ არჩეულია საბჭოს 5438 წევრი; ამათში — ქალი 463—8,5 პროც. (პარტიულობის მიხედვით — კომუნისტი — 693—12,8 პროც., კანდიდატი — 378—6,9 პროც., ახ. ლ. კ. კ. წევრი — 403—7,4 პროც. და უპარტიო—3964—72,9 პროც.

სასოფლო მეურნეობა

როგორ იზრდება ჩვენი სოფლის მეურნეობა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის განვითარება იწყება 1921—922 წლიდან, რასაც ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებულ მთელ რიგ ღონისძიებების ატარებამ.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის დაცემას ხელი შეუწყო ჯერ იმპერიალისტურმა ომმა, შემდეგ კი ამიერ-კავკასიის ჩამოშორებამ საბჭოთა რუსეთისაგან, როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის დაკეტილი იყო რუსეთის ფართო ბაზარი.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეადგინა მასალები ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ სამრეწველო ნედლეულის დამზადება ამიერ-კავკასიაში უკვე აღემატება ომის წინა ხანების ნორმებს.

მაგალითად, თუ ავიღებთ ბამბას, დავინახავთ, რომ ომის წინ 1912—1914 წ.წ. ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 1 600.000 ფუთი ბამბის ძაფი; გასული წლის დამზადების ნორმა უდრის 4.030.000 ფუთს, წელს კი დამზადებული იქნება 5.200 000 ფუთი.

რაც შეეხება თამბაქოს, უნდა ითქვას, რომ გასული წლის განმავლობაში დამზადებული თამბაქო მხოლოდ 10 პროც. აკლდება 1912—14 წლებში დამზადებულ თამბაქოზე; მიმდინარე წელში დამზადებული თამბაქო 20 პროც. გადააჭარბებს ომის წინა ხანების ნორმას.

თუ ავიღებთ აბრეშუმის პარკის დამზადებას, აქ ჩვენ დიდი შედეგები გვაქვს ომის წინა ხანებთან შედარებით; მაგალითად, მიმდინარე წელში დამზადებული პარკის რაოდენობა 90 პროც. გადააჭარბებს 1912—14 წლის ნორმას. სამრეწველო ნედლეულის დამზადება გასული წლის განმავლობაში რამდენიმე მხრივ უფრო [illegible] ჩატარდა, ვიდრე წინა წლებში. ეს მუშაობა უფრო მეტ შედეგებს გამოიღებდა, რომ ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები[ს] [illegible] არ ახასიათებდეს ზოგიერთი ნაკლი.

მიმდინარე წელს იღებენ ზომებს ყველა დეფექტების გამოსასწორებლად. ზოგი რამ ამ მიმართულებით უკვე გაკეთებულია. წელს საგრძნობლად გაუმჯობესებული იქნება დამზადების ტექნიკა და ძირითად აღმოფხვრილი იქნება ის ანარქიული [illegible] ნედლეულის დამამზადებელთა დამოუკიდებლობის სფეროში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

საქართველოს ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს ცნობების თანახმად, ამა წლის 15 თებერვალს სულ მთელს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 1.046.856 მანეთის რაოდენობით, რაც აღემატება მთელი ასაკრეფი გადასახადის 70 პროცენტს.

1-ლ მარტისათვის დაახლოვებით აკრეფილია 80 პროცენტზე მეტი.

გადასახადის აკრეფა კარგად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში რამოდენიმედ ჩამორჩენილი არიან გადასახადის აკრეფაში ქუთაისის და ოზურგეთის მაზრები. აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ყველაზე უფრო წარმატებით მიმდინარეობს ბორჩალოს და გორის მაზრებში.

დაახლოვებითი ცნობებით, 1-ლ მარტისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სავსებით აკრეფილია ლეჩხუმის და შორაპნის მაზრებში და აგრეთვე აფხაზეთში.

ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში შემოვიდა შარშანდელი გადასახადის ნარჩენი 100 ათასი მანეთის რაოდენობით.

მუშათა ცხოვრება

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი

ეს მუშათა კლუბი შექმნეს—ააშენეს რკინისგზის მუშებმა, ააშენეს იგი და თანაც მისცეს მისი წიაღიდან გამოსული ხელოვნების მოყვარენიც, რომლებიც ათ-ათი წლობით ემსახურებიან ამ მუშათა კლუბს სრულიად უსასყიდლოდ, რაც დიდი ღვაწლია მუშათა ფართო მასის წინაშე.

ასეთი მოღვაწენი არიან: სონა გოგაშვილი, ვერა კუდუხაშვილი, ნადია ჯეირანაშვილი, სანდრო ჩიტაძე, გაბო გაბიძაშვილი, კოსტა დემეტრაშვილი, ბორის ლითანიშვილი, ალიოშა თოთაძე, თევზაძე და სხვა ახალგაზრდა ხელოვნების მოყვარენი. ეს ხალხი ხელოვნებით გატაცებულნი არაფრად სთვლიან თავიანთი დაღლილობას და სამსახურიდან გამოსულნი მიეშურებიან ხელოვნების ტაძრისაკენ და ეწევიან ჭაპანს მუშათა კეთილდღეობისათვის.

დღეს, როდესაც მთელი ძალღონე მიმართულია კულტურისაკენ მუშათა ფართო მასებისათვის, აი ამ დროს ამ დასს არავინ არ აქცევს ყურადღებას ისე, როგორც საჭიროა არის. ამ სეზონამდე ყოფილმა გამგეობამ ვერ მოახერხა მიეცა მუშებისათვის ღირსეული ხელმძღვანელი და იოლად მიდიოდა სხვადასხვა ჯერ კიდევ მოუმზადებელ ხელმძღვანელების საშუალებით, რითაც როგორც დასი, ისე აუდიტორიაც მოკლებული იყო ყოველგვარ ჭეშმარიტ ხელოვნებას. მაგრამ ეხლა ახალ გამგეობის წყალობით მოგვევლინა სოსო ბებურიშვილი ხელმძღვანელათ მუშათა დასისთვის, რითაც საშუალება გვაქვს მაყურებლებს დავტკბეთ მშვენიერი დადგმებით.

მუშანს.

ამ უბნის საქმეც მოაგვარეთ

ამ ხუთი წლის არსებობის დროს ბევრი რამ კარგი გააკეთა საბჭოთა მთავრობამ, როგორც სოფლად გლეხების სასარგებლოთ, ისე ქალაქის გარე-უბნებში მცხოვრებ მუშების სასარგებლოდ. ამას კი ჩვენ ვხედავთ იქ, სადაც ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და აკეთებენ მეტად კარგს და სასარგებლო საქმეს ყველა მუშების და გლეხებისათვის.

დღეს მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ყველა ასეთ კუთხეებს და შეუდგა მათი გამშვენიერება-გალამაზებას. აი მაგალითად ამხ. ლენინის უბანში დააგეს ქვაფენილები და გაიყვანეს წყლის მილები, გაიყვანეს კანალიზაცია.

გაანათეს მივიწყებული ბნელი ქუჩები, გააშენეს დასასვენებელი ბაღები; გახსნეს კოოპერატიული დუქნები და წითელი სასადილოები და სხვა. მაგრამ რკინისგზის ლიანდაგის გაღმა მდებარეობს მეშვიდე და მერვე უბანი, რომელსაც ეწოდება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის უბანი. ეს უბანი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია, ამ უბანში არც მიდის გაზეთები, არც გვაქვს გასართობი კლუბი, რომ თვეში ერთხელ ან ორჯერ მაინც დავდგათ რამე პიესები, რათა გაერთონ მუშები აქ თავის ცოლშვილითურთ.

როდესაც გვექნება აქაც კლუბი, მაშინ, რასაკვირველია, უფრო მჭიდროდ და მკვიდრად დაუკავშირდებიან მუშები ქალაქს და მის კულტდაწესებულებებს.

საჭიროა კოოპერატიული დუქანი გაგვიხსნან, რადგანაც ქალაქის კოოპერატიულ დუქნებს ძალიან დაშორებული ვართ. ამის გამო უვარდებით კერძო მოვაჭრეებს ხელში, და როგორც თავიანთი სურვილია, ისე გვაძრობენ ტყავს. ვთხოვთ ვისიც ჯერ არს მოგვაქციონ ყურადღება.

გადმოსახლებული.

რისთვის ხდება ასე?

საქ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს თანამშრომლები ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან. სტატისტიკაზე მომუშავეები, რომლებიც ასე თუ ისე სპეციალისტებს შეადგენენ, ღებულობენ ხელფასს 42—46 მან. მიუხედავად იმისა, რომ სხვაგან იმავე თანამდებობის სტატისტიკოსები ღებულობენ ხელფასს 75—100 მანეთამდი. გარდა ამისა ჩვენს თანამშრომლებს არ მიუღიათ ავანსის სახით შეშის ფული ამ ზამთრის განმავლობაში.

ჯამაგირების დარიგებაზე ძალიან უწესოება ხდება: თანამშრომლები თავის დროზე ვერ ღებულობენ კუთვნილ ხელფასს, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. ამ უკანასკნელად მიუხედავად იმისა, რომ ჯამაგირები უნდა დაერიგებიათ თვის პირველ რიცხვებში, ნაცვლად ამისა დარიგებულ იქნა 14 იანვრიდან, მაგრამ არა ყველასთვის თავის დროზე ერთნაირად, არამედ გაცემა ჯამაგირებისა გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში.

დღესაც რამდენიმე თანამშრომელს არ აქვს მიღებული თავისი ხელფასი. ნუ თუ ასე უნდა გაჭიანურდეს შრომის ხელფასის მიღების საქმე?

გარდა ამისა ჩვენს დაწესებულებაში ხშირია შემთხვევა, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციიდან მოვლინებული იქნება ახალი თანამშრომელი (მოთხოვნილებისამებრ), რომელიც მიღებული იქნება ჯერ დროებით სამუშაოზე (პრაქტიკის მისაღებათ) 2—3 თვით, შემდეგ კი გამოჩნდება თუ არა თავისუფალი ადგილი. მას კი არ გადაიყვანენ, არამედ ვინც მოესურვებათ; სრულიად გამოუცდელ მომუშავეს ნიშნავენ შტატის ადგილზე, და იმას კი, რომელიც მოვლინებული იყო და რომელმაც მიიღო, რამოდენიმე თვეების განმავლობაში პრაქტიკა უარს ეუბნებიან. ასეთ არა სასურველ მოვლენებს ხშირად აქვს ადგილი ჩვენს დაწესებულებაში.

წითელი კალამი.

რძალი და შვილიც ასეთი უნდა

სამ წელზე მეტია, რაც ფიზიკურ ობსერვატორიაში მსახურობდა მოქ. ნინო მანველოვისა, რომელსაც ხსენებულ ობსერვატორიაში (პლეხანოვის ქუჩა, სახლი № 150,) დათმობილი ქონდა ერთი ოთახი, სადაც ნინომ თავისი უმუშევარი შვილი სერგოც თან მიიყვანა და თავისი ჯამაგირით არჩენდა შვილს. ეგონა, რომ შვილი როდესმე დაუფასებდა ამას. ნინომ შვილი რკინისგზაში მიაღებინა მემუხრუჭედ. ამხ. ნინოს წარსულში ბევრი კარგი მოუძღვის რევოლიუციის წინაშე. ბევრი რევოლიუციონერი დაუხსნია მას შავბნელი რეაქციის დროს, დაუმალავს ისინი, ბინა მიუცია და სხ.

აი ასეთ დედას, რომელიც თავისი უკანასკნელი კაპეიკებით ინახავდა რძალსა და შვილს, თავუკუღმა გადაუხადეს მათ სიკეთე.

ნინო ამა წლის 1 იანვრიდან (აქაც გაუგებრობა უნდა იყოს) შტატის შემცირებაში მოჰყვა და რძალმაც და შვილმაც თავისივე ოთახიდან კარში გამოაგდეს და დღეს საბრალო დედა უბინაობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის.

შვილი და რძალი ასეთი უხასიათონი და არამზადები აღმოჩნდნენ და მოხუცი დედა კარში გააგდეს.

საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი მილიციელი.

[illegible] წერილებიდან

ესეც თქვენი ნისიაობა. როგორც იყო, დიდის ვაი-ვაგლახით, ტრამვაის მუშებს კომუნალურ განყ. ნებართვით მოგვცეს შეშის ფული 25 მანეთის რაოდენობით იმ პირობით, რომ ეს თანხა დაგვეფარა სამი თვის განმავლობაში, მაგრამ დახეთ უბედურებას, ტრამვაის დირექციას სურს ეს თანხა ამ მოკლე ხანში გადაგვახდევინოს. განა ამას ჰქვიან კრედიტი?

მუშა უკანასკნელი.

— დირექტორი უდიერად ეპყრობა. ქუთაისის თამბაქოს ქარხნის დირექტორი ხშირად მეტად უდიერად ეპყრობა თავის მუშებს, ხშირად უყვირის მათ. რატომ არ შეიძლება, რომ მან გამოიჩინოს ჩვენი მუშების მიმართ ისეთი სამართლიანობა და სიფაქიზე, რასაც იგი იჩენს ქალების მიმართ.

ადგილობრივი მუშები: ნატალიაშვილი ახალქვეყნელი.

— ჩვენ საქმეს მაინც ვერაფერმა უშველა. ერთობის უბანში წინეთ კანალიზაცია არ გვქონდა და უბანი გაბინძურებული იყო. ამ უბანში კრამიტის ქუჩაზე ივლისში ამ მხრივ დაიწყო მუშაობა. მთელ 4 თვის განმავლობაში მუშაობის შემდეგ კანალიზაცია აქ მართლაც მოეწყო. მაგრამ გათხრილ ადგილებზე მიწამ ბევრგან დაიწია და ღამით ამ ქუჩაზე, ამ ოღრო-ჩოღროებში ადამიანს არ გაევლება.

ამასთან აქ ძალიან გავრცელებულია ქურდობა.

აღმასკომო მიიღე სათანადო ზომები!

საბჭოს წევრი ს. ხელაია.

— ამ მუშებს უნდა მოუწყოთ აბანო. ქ. ფოთის ჭაობების ამოშრობაზე მუშაობს ორასამდე მუშა-მოსამსახურე. სამუშაო ძალიან ჭუჭყიანია. მუშები საშინლად ისვრებიან ამ დამპალ ჭაობებში. აბანო კი მათ არა აქვთ. ქალაქის აბანოთი სარგებლობა მათ ძვირად უჯდებათ. ხელფასი მათ ძალიან მცირე ეძლევათ.

შესაძლებელია ამ ჭუჭყმა და უსუფთაობამ მუშებში გამოიწვიოს სხვადასხვა ავადმყოფობანი.

გაუხსენით ამ მუშებს აბანო!

მუშის მეგობარი.

მუშათა ქრონიკა

—ეს მუშაკი გლეხებს უდიერად ეპყრობა. სადგურ სვირში დიდძალი გლეხობა იყრის თავს. აქ მას გამოაქვს გასასყიდლად თავისი ნაწარმოები. სადგურის მოხელენი კი და განსაკუთრებით სადგურის მოლარე ძალიან უხეშად ეპყრობა გლეხებს.

საჭიროა მას ჭკუა ასწავლოთ.

გლეხის მეგობარი.

მეოთხე თამბაქოს ქარხანაში

— სისუფთავის დაცვა. მეოთხე თამბაქოს ფაბრიკასთან არსებულმა შრომის დაცვის კომისიამ მიიღო ზომები, რათა მუშების სასადილოში იქნეს დაცული სისუფთავე.

—მეოთხე თამბაქოს ქარხნის ფაბრკომმა აცნობა დირექტორს, რომ მუშების ერთი მანქანიდან მეორეზე გადაყვანა მოახდინოს შრომის დაცვის კომისიის თანდასწრებით.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. მეოთხე თამბაქოს ქარხნის მუშებში 50 პროცენტით უკვე შემცირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

— პროფმოძრაობის კურსები. მეოთხე თამბაქოს ქარხანაში არის დაარსებული პროფმოძრაობის კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ტერ-აკოპოვი.

ეკონომიური ცხოვრება

ახალი ქარხნის მოწყობა

— ამ დღეებში დასრულდება აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის შეკეთება ხონში. მანქანები ამ ფაბრიკისათვის უკვე გაგზავნილია.

— ამ დღეებში დასრულდება აგრეთვე აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის შეკეთება თელავშიაც. უკვე მიღებულია ახალი მოწყობილობა ფაბრიკისათვის. ფაბრიკა გაიხსნება მახლობელ 3—4 თვის განმავლობაში.

— საოპერაციო წლის დასასრულს ოზურგეთში დამთავრდება აბრეშუმის სართავი და სახვევი ფაბრიკის აგება. ამ ფაბრიკის დამთავრების დაგვიანება სხვა მიზეზებთან ერთად გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ მიღებული ცემენტი უვარგისი გამოდგა.

— აბრეშუმის სახვევ ფაბრიკისათვის უკვე გამოწერილია მონტიორები. ჩამოვიდა სპეციალისტი იტალიიდან.

— 15 ივლისს მარელისში გაიხსნება გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. ამჟამად სწარმოებს ფაბრიკის მანქანების დადგმა. უკვე ჩამოვიდა 3 მონტიორი და ერთი ავსტრიელი ინჟინერი, რომელიც შეუდგა მანქანების დადგმას.

— ზაფხულში დაიწყება საქართველოში პირველი ქაღალდის ფაბრიკის შენობის აგება. ფაბრიკამ წლიურად უნდა დაამზადოს 1 მილიონი ფუთი ქაღალდი. ამჟამად ადგენენ ამ ფაბრიკის შენობის გეგმას.

— ახლო მომავალში შეუდგებიან თბილისში ან თელავში მაუდის ფაბრიკის აგების გეგმის შედგენას. საქართველოს მატყლის ნიმუშები უკვე გაიგზავნა მოსკოვში შესამოწმებლად. მატყლის ანალიზის გზით უნდა გამოირკვეს, როგორი იქნება ხარისხით საქართველოს მომავალი მაუდის ფაბრიკის პროდუქცია.

— ნაწილობრივ უკვე გამოწერილია მანქანები ორი სახერხი ქარხნისათვის, რომლებიც გაიხსნება ბაღდადში და შამგონში.

საზ-ბა „სამშენი“

აქციონერო საამშენებლო საზოგადოება „სამშენი“, რომელიც დაარსდა შარშან ზაფხულზე თბილისის აღმასკომის და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ინიციატივით, მიზნად ისახავდა თავისი ხანმოკლე [illegible] საამშენებლო ბაზრის დაპყრობა და კერძო მოიჯარადრეების განდევნა იქიდან.

საზ-ბა „სამშენი“-ს წარმატებით მუშაობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ის, კეთილსინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას; ამას გარდა საზოგადოებას საწყობებში აქვს საამშენებლო მასალების დიდი რაოდენობა, რაც საშუალებას აძლევს მას მინიმალურ ფასებში მიიღოს შეკვეთები.

ამჟამად საზოგადოება „სამშენი“ აწარმოებს სხვადასხვა მუშაობას საერთო ღირებულებით 800.000 მან. ამ სამუშაოებს შორის აღსანიშნავია სასტუმრო „ორიანტის“ კაპიტალური რემონტი—100 000 მან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი შენობის და ორი პავილიონის მოწყობა, მუშათა სახლის აგება [illegible], საქ. [illegible] საწყობების მოწყობა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საქართველოსათვის, [illegible] სახლის [illegible] გადაკეთება ორთაჭალაში, სახლის აგება თამბაქოს ფაბრიკასთან. მუსლიმანთა კლუბის და თეატრის აგება კომუნალ [illegible] ქუჩაზე, შენობის აგება სკოლისათვის კრწანისში, მუშაობა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად და 18 საქალაქო შენობის კაპიტალური რემონტი.

საზ—ბა „სამშენს“ განზრახული აქვს მომავალი საამშენებლო სეზონიდან კიდევ უფრო გააფართოოს თავისი მუშაობა.

სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმე ჩვენში

საქართველოს გასაბჭოებამდი სატრანსპორტო-საექსპედიციო მუშაობას საქართველოში აწარმოებდენ უცხოეთის კერძო ფირმები, როგორც იყვნენ: ვალაკი, არვანტიდი მანდილი და მრავალი სხვა.

სპეციალური სახელმწიფო აპარატი ამისათვის საქართველოში არ ყოფილა და მხოლოდ 1920 წლის ბოლოს დაარსდა სატრანსპორტო საზოგადოება, რომლის [illegible] ეკუთვნოდა კერძო მრეწველ ხოშტარიას.

გასაბჭოების შემდეგ ეს საზოგადოება დაიშალა. 1922 წელში თბილისში დაარსდა სახელმწიფო სააქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტი“, რომელმაც ჩქარა გააფართოვა თავისი მუშაობა.

ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები მეტად მცირე რაოდენობით იგზავნებოდა რუსეთის ბაზარზე. ღვინო გაჰქონდათ მცირე ოდენობით, ცოტა [illegible] აგრეთვე [illegible] ხარისხის [illegible]. ასეთი მდგომარეობაში იყო აგრეთვე სატყეო მასალის გატანის საქმე. ამჟამათ ამ პროდუქტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს საექსპორტო გეგმაში.

საზ-ბა „ტრანსპორტი“-ს მიერ მიმდინარე საზამთრო სეზონში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ბაზრებზე გატანილია 1200 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ღვინო, ხილი, თამბაქო, თხილი და სხვა).

სერიოზულ სატრანსპორტო წარმოებების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხელის შეწყობა ტვირთების გადატანისათვის დამამზადებელ რაიონებიდან სამომხმარებლო რაიონებში. ამ მხრივ საზ—ბა „ტრანსპორტმა“ დიდი სამსახური გაუწია მოსახლეობას.

ასე მაგალითად, 1923—24 წლის განმავლობაში საზოგადოების მიერ გადატანილი იყო 1.934,000 ფუთი ტვირთები, 1924—25 წელში—3.672.000 ფუთი. მიმდინარე საოპერაციო წელში ეს ციფრი გაიზრდება 100 პროცენტით.

გატანილი პროდუქტების რაოდენობა მიმდინარე წელში გაიზრდება რამოდენიმე ათას ვაგონამდი.

სახელგამი და კოოპერაცია

ცეკავშირი კისრულობს სახელგამის გამოცემათა გავრცელებას

შაბათს, თებერვლის 27-ს, ცეკავშირის ბინაზე ამხ. მ. ტორომელიძის თავმჯდომარეობით მოხდა შეერთებული კრება ცეკავშირის გამგეობის და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენლების მოსაწყობით შესახებ სახელგამის მიერ გამოცემულ წიგნების გავრცელების კოოპერატივების საშუალებით. კრებას დაესწრენ ცეკავშირის გამგეობის წევრები: შ. გოგბაშვილი, გ. ნაფეტვარიძე, ც. ცაგარელი და სხვ., სახელგამის გამგის მოადგილე ა. ნ. მიწიშვილი. ცენტრალური მაღაზიის გამგე ამხ. გვახარია და სახელგამის იურისკონსულტი მ. ჩოჩია.

კრებამ მოისმინა ამხ. მიწიშვილის მოხსენება შესახებ სახელგამისა და კოოპერაციის დაკავშირების საჭიროებისა წიგნის გავრცელების საქმეში. მან აღნიშნა, რომ წიგნის გავრცელების საქმე ჯერ კიდევ არაა საქართველოში მოწესრიგებული, საჭიროა ამისათვის მტკიცე აპარატის შექმნა, მაგრამ ვინაიდან სახელგამისათვის შეუძლებელია ამ თვითონ გახსნას პროვინციის ყველა პუნქტებში წიგნის გამავრცელებელი კუთხეები, უმჯობესი იქნება ამ საქმისათვის გამოყენებული იქნას კოოპერაციის აპარატი, რომელსაც წარსულში აქვს პრაქტიკა წიგნის გავრცელების საქმეში. ეს დიდი კულტურული საქმე მოითხოვს ცეკავშირის განსაკუთრებულ ყურადღებას და, მომხსენებლის აზრით, საჭიროა ცეკავშირმა მიიღოს სახელგამის წინადადება და თუ საჭირო იქნება მცირედი წინასწარი ხარჯიც გასწიოს ამ საქმისათვის.

კამათმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მ. ტორომელიძემ, გოგბაშვილმა, ცაგარელმა, გვახარიამ და სხ., გამოარკვია, რომ პრინციპიალურად ეს საქმე ცეკავშირისთვის მისაღებია. ვინაიდან წინა წარმოლაპარაკება ამ საკითხის გარშემო სახელგამთან უკვე სწარმოებდა, ცეკავშირის საორგანიზაციო ბიურომ დაამზადა ამ საკითხზე თავისი მოსაზრებანი; თანხმად ამ მოხსენებისა, რომელიც კრებამ დაადასტურა, შესაძლებელია ამ თავითვე მოეწყოს წიგნის კუთხეები 70 კოოპერატიულ პუნქტში. ამ რიცხვის გადიდება შეიძლება მომავალში თანდათანობით, ვინაიდან ცეკავშირს აქვს 904 კოოპერატიული ორგანიზაცია საქართველოში. დადგენილ იქნა შეიკრას სახელგამთან გენერალური ხელშეკრულება და შედეგები მოხსენდეს გამგეობას ერთი კვირის განმავლობაში.

ავიაქიმი

ახალი აეროპლანები

ამიერ-კავკასიის ავიაქიმი ახლო მომავალში დაამთავრებს თანხების შეგროვებას აეროპლანების „კომკავშირი“, „ხუთის სახელობის“ და „[illegible]“-ს ასაგებად. ნაწილობრივ შეგროვებულია საშუალებები ფრუნზეს სახელობის აეროპლანის ასაგებად. თანხები გადაეგზავნება ცენტრში.

პლანერების აგება

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანურ ცენტრებში ამჟამად შენდება 8 პლანერი, რომლებზედაც ახალგაზრდობა ზაფხულის განმავლობაში შეისწავლის უმოტოროდ ფრენას.

„ავიაქიმი“-ს წევრების რიცხვი

ამიერ-კავკასიის ავიაქიმს ამჟამად ჰყავს 80.000 წევრი, აქედან—30.000 მუშა, 20.000 გლეხი, 19.000 მოსამსახურე, 11.000 წითელარმიელი, პიონერი და მოწაფე.

აფხაზეთის რესპუბლიკის სოფლებში უკვე მოწყობილია 57 უჯრედი, რომლებშიაც ჰყავთ 1.500 წევრი.

ქიმია სასოფლო-მეურნეობაში

ავიაქიმის თბილისის მესამე რაისაბჭო შეუთანხმდა ყარაიაზის საცდელ სადგურს ქიმიური გასანოყიერებელი საშუალებების გამოყენების საქმეში. რაისაბჭო უფასოდ გზავნის ყარაიაზში ქიმიურ გასანოყიერებელ საშუალებებს.

საჰაერო მიმოსვლა

მოსკოვ-თბილისის შორის

რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა მოსკოვ-თბილისის ხაზზე გაიხსნება 1 მაისს.

საჰაერო გზა მოსკოვისაკენ გაივლის ბაქოს, გროზნის, როსტოვის და ხარკოვის მიმართულებით.

ამჟამად დიდი მზადებაა გადაფრენის გახსნისათვის. სწარმოებს საცდელი ფრენა უკეთესი მიმართულების ასარჩევად.

თბილის-ბაქოს ხაზით ჰაეროპლანები იფრენს კვირაში ორჯერ, ხოლო ბაქო-როსტოვის ხაზით — ყოველ დღე. გადაფრენას თბილის-ბაქოს შორის მოუნდება 3—4 საათი.

ამჟამად ბაქოში კეთდება ახალი ჰაეროდრომი იმ ადგილას, სადაც გაჩერდებიან საბუნჩის ელექტრო-რკინის-გზის მატარებლები.

მთელს ხაზზე იფრენენ 8 ადგილიანი ჰაეროპლანები „დორნიე-კომეტა“-ს სისტემის და 12 ადგილიანი ჰაეროპლანები „ჩარმენი“-ს სისტემის.

გადაფრენის ფასი იქნება სასწრაფო მატარებლების ბილეთების ფასის თანაბარი.

თათბირი ტყის მეურნეობის საკითხებზე

თბილისში გაიხსნა პირველი თათბირი სატყეო მეურნეობის შესახებ. თათბირზე მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკანური და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოები, უმაღლეს სასწავლებელთა სატყეო კათედრების, რესპუბლიკანურ მიწათ საქმეთა სახალხო კომისარიატების, სატყეო საზოგადოებების და ტრესტების, მიწა-ტყის მუშათა და ხის დამმუშავებელთა კავშირების, თბილისის და ბათომის ბოტანიკურ ბაღების, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ფინსახკომის, ა.-კ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს, ა.-კ. რკინისგზების, ა.-კ. სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობის და საკურორტო სამმართველოების წარმომადგენლები, რიცხვით 60 კაცი.

[illegible] დაესწრო აგრეთვე საკავშირო ფინსახკომის სატყეო განყოფილების გამგე პონომარიოვი.

თათბირი გახსნა 28 თებერვალს ა.-კ. ცენტრალურ [illegible] გამგემ ამხ. გრიგორიანმა. პირველ დღეს მოსმენილ იქნა თათბირის მომზადებელი [illegible] ბიუროს მოხსენება. მოხსენება გააკეთა ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო სამეურნეო სექციის სატყეო კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა.

არჩეულ იქნა თათბირის სექციები: სატყეო-სამეურნეო, სატყეო მრეწველობის და ვაჭრობის, საფინანსო და შრომის.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს და აფხაზეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების სატყეო განყოფილებების წარმომადგენელთა მოხსენებები.

დილის სხდომაზე 1 მარტს გრძელდებოდა მოხსენებების მოსმენა ადგილობრივად. მოსმენილ იქნა აზერბაიჯანის, სამხრეთ-ოსეთის და [illegible] სატყეო განყოფილებების წარმომადგენელთა მოხსენება.

თათბირმა უნდა გამოარკვიოს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სატყეო მეურნეობაში. კერძოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის სფეროში, უნდა გამოარკვიოს აგრეთვე სატყეო მუშაკების მომზადების, კადრის შექმნის საკითხი, ტყეების შემოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობა, ტყეების დაცვის საშუალებების და სხვა.

რკინის გზებზე

ნავთლუღ-თბილისის შუა მოძრაობა აღდგენილია

26 თებერვალს მომხდარ შემთხვევის [illegible] ორთქმავალი ამოიღეს 27 თებერვალს 9 საათზე და 37 წუთზე და მოძრაობა აღდგენილ იქნა.

აცილებული უბედურება

27 თებერვალს 6 საათზე [illegible] გაშვებულ იქნა საფოსტო მატარებელი № 3 იმ დროს, როდესაც თბილისში მოდიოდა კახეთის სახალხო მატ. № 4. მემანქანეებმა დროზე შეამჩნიეს ერთმანეთი და მატარებლები გააჩერეს შემოსასვლელ სემაფორთან ერთმანეთიდან 100 მეტრის მანძილზე. ამგვარად დიდ ხიფათს [illegible] დარჩა. [illegible]

მატარებლის გაწყვეტა

27 თებერვალს, ღამის 10 საათზე, უჯარმა-ალიკენტის შუა, ალიკენტის შემოსასვლელ სემაფორთან აწყდა მატ. № 2044. [illegible] 27 ვაგონი დარჩა ადგილზე, მატარებლის წინა ნაწილმა კი 59 ვაგონის შემადგენლობით გაიარა სადგ. ალიკენტი გაუჩერებლივ და ჩავიდა სადგ. [illegible] 10 საათზე და 40 წუთზე.

ორთქმავლის დაზიანება

28 თებერვალს, სადგ. ბალაჯარში 4 საათზე [illegible] ორთქმავალი № 1432 და მეორე ორთქმავალი № 4335, რომლებიც იდგნენ ერთ ხაზზე, დაეჯახნენ ერთმანეთს. ამის გამო ორთქმავალს № 1432 მოსწყდა საბუფერო [illegible] და ამიტომ იგი გაიგზავნა შესაკეთებლად [illegible] ორთქმავლის [illegible] გამოშვებამდე მატარებელმა № 21 სადგ. ბალაჯარში დაიგვიანა 5 საათი და 40 წუთი.

საბჭოთა საქართველო

ქალების გატაცებას ბოლო უნდა მოეღოს

(გომარეთის თ., ბორჩ. მ.)

ამ თემში სხვათაშორის ერთი მავნე ნაშთია დარჩენილი, სახელდობრ: გასათხოვარი ქალების მოტაცება, და ამ სამგმირო საქმეში ხანდახან თემ-აღმასკომის წევრებიც ეხმარებიან ზოგიერთებს. წელს 25 მეტი შემთხვევა იყო ასეთი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

მაგალითად სოფ. დიდი გომარეთის მცხოვრებ მიხა სიხუაშვილმა მხეცურათ მოიტაცა 13 წლის ობოლი ქალი. მას ეხმარებოდა თოფით ხელში ამავე თემის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ქართველიშვილი, რომელსაც იარაღი აჰყარა თვით თავმჯდომარემ, როდესაც დაჩოქილს და სასროლად გამზადებულს თავს წაადგა. ამის შემდეგ ქართველიშვილი მოადგილეობიდან შეიცვალა და სასჯელიც ამით განისაზღვრა. ეს ამბავი არავის გაუგია. ერთი თვის შემდეგ, იქორწინეს და ქორწილიც გადაიხადეს 13 წლის ქალზე.

მეორე შემთხვევა: ზაფხულში აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორ მაისურაძის აქ ყოფნის დროს, სოფ. მიჯიდან ქალის მოსატაცებლათ გაემგზავრა თავის ამხანაგებით გლეხკომის თავმჯდომარე ანტონა ადუაშვილი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ქალი გზაში დაატოვებინეს, რის შემდეგაც ამხ. მაისურაძის განკარგულებით დააპატიმრეს მტაცებელი ადუაშვილი, რომელიც ერთი თვის შემდეგ მოვიდა სახლში და მუშაობს.

საერთოდ გომარლები ძალიან ყოჩაღები არიან ქალის სხვა სოფლიდან მოტაცებაში, სხვა სოფლელს კი ნურას უკაცრავად, არაფერს მოატაცებინებენ. საჭიროა სასწრაფოდ მისცენ პასუხისგებაში ვითომდა გლეხებისთვის მზრუნველი ყოფ. თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ქართველიშვილი. უნდა გამოძიებულ იქნას ვინ დააქორწინა მცირეწლოვანი, 13 წლის ქალი. ვფიქრობ, რომ ამ გამოძიების დროს კიდევ ბევრი გამოჩნდება პასუხისგებაში მისაცემი.

იქაური

სანიმუშო უნიმუშობა

სოფლის მეურნეობის კულტურულათ დაწინაურებისათვის ერთ ერთ საშუალებას წარმოადგენს სანიმუშო მეურნეობების მოწყობა. სიტყვიერი აგიტაცია-პროპაგანდა გლეხზე, რომელიც დასაბამიდანვე შეჩვეულია მეურნეობის ძველ ფორმებს, იმდენათ არ სჭრის, რამდენათაც გაუმჯობესებულ მეურნეობის მიღწევათა პრაქტიკულათ დანახვება. სადედელი მინდვრები და სანიმუშო ბაღ-ბოსტნები გლეხის მეურნეობის თვალსაჩინო სკოლას წარმოადგენენ. ჩვენს სოფლებში ხშირათ შეხვდებით ასეთ სანიმუშო მეურნეობებს. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ისინი ზოგჯერ სრულიად წინააღმდეგ შედეგებს იძლევიან. მათი მდგომარეობა ისეთია, რომ ეს მეურნეობები მართლაც წარმოადგენენ სანიმუშო მეურნეობას ამ სიტყვის უკუღმა გაგებით.

აი მაგალითად ლეჩხუმის მაზრის ს. ლასურიაშის სანიმუშო ბაღი, რომელზედაც გიწერს გლეხკორი ლ. ჭაბუკიანი. წინათ ამ ბაღში მრავალნაირი ჯიშიანი ნამყენები და ვენახები იყო. მოშენებული იყო აგრეთვე თუთის [illegible]. [illegible] იმათი [illegible] წყალობით ვინც ამ ბაღს განაგებს, თუთკარი სანახევროდ განადგურებულია, ნარგავებს საქონელი აპარტახებს, ბაღი შეუღობავია. აგრონომები კი, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს სანიმუშო ბაღის კეთილმოწყობაზე ზრუნვა, სანატრელ სტუმრებათ გადაიქცნენ ლასურიშელ გლეხებისთვის.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გავლენას ახდენს ეს სოფელზე და რამდენათ უწყობს ხელს მეურნეობის ახალ ფორმების წინმსვლელობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთ სანიმუშო უნიმუშობას შეუძლია სადემაგოგო მასალაც მისცეს ხალხის მტრებს. შეხედეთ, წინათ, როცა ბაღი კერძო პირის ხელში იყო, იქ ყველაფერი ყვაოდა და რიგზე იყო, მაგრამ, როგორც კი სანიმუშო ბაღათ გადააქციეს, მთლად გაპარტახდა და განიავდაო.

ზოგიერთი, რასაკვირველია, არ დაგიდევს თუ ვისი და რა მიზეზით ხდება ეს. ის ფაქტს ფაქტად ხედავს და აქედან თავისებური დასკვნებიც გამოაქვს. ლასურიაშის „სანიმუშო უნიმუშობის“ მგზავსი ბაღები ალბათ არა ერთი და ორი მოიძებნება.

თუ იმ ორგანოს, რომელიც კისრულობს ასეთ ბაღების მოვლას, ძალა არ შესწევს, რომ საქმეს თავი გაართვას, სჯობს ის სხვას დაანებოს. ეს უკეთესი იქნება როგორც ამ ორგანოს სახიერისათვის, ისე მით უფრო საქმის ინტერესებისათვისაც.

ვ. ზვანელი.

შურისძიებისათვის

(ს. ყვარელი, თელავის მ.)

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს თელავის სესიამ ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით განიხილა ბრალდებულ გიორგი ლაფაჩიშვილის და შაქრო ჯალალოვის საქმე. სასამართლოს სხდომას დაესწრო მრავალი გლეხკაცობა, რის გამოც სხდომა სწარმოებდა ცის ქვეშ როგორც ეს გლეხებმა მოითხოვეს.

ბრალდების შინაარსი შემდეგია:

1925 წ. თებერვალში გიორგი ლაფაჩიშვილი ესიძება სოფ. ზალდოჯიანის მცხ. კობერიძის ოჯახს. ერთი თვის შემდეგ ლაფაჩიშვილის სიმამრი იძულებულია დაითხოვოს იგი ოჯახიდან, რადგან სიძე-ქალს შორის ჩამოვარდა უსიამოვნება. ამ უსიამოვნების მიზეზის გამოსარკვევად და საერთოდ მოსალაპარაკებლად ბრალდებული ლაფაჩიშვილი აგზავნის კობერიძესთან სოფელ ახალ სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეს, რომლისგანაც ღებულობს პასუხს —რომ ქალს აღარა სურს მისი ცოლობა. ამ პასუხით გაბრაზებული ლაფაჩიშვილი სცდილობს ძალით გაიტანოს თავისი. [illegible] უდგება წინ და დოქით გაუტეხავს თავს—თანაც ახერხებს მის დაპატიმრებას, ლაფაჩიშვილი გზიდან გაექცევა მცველებს, რის შემდგომ იგი დაუახლოვდება ყაჩაღ ღორაშვილს, რომელიც მაშინაც და დღესაც ემალება მთავრობას.

ამ ყაჩაღის დახმარებით ლაფაჩიშვილს სურს იძიოს შური მის ყოფილ ცოლის ძმაზე, კომკავშირელ შალიკო ბრეგაძეზე.

წარსულ 24 აგვისტოს — ლაფაჩიშვილი — შეიარაღებული — თავის ამხანაგებ ღორაშვილის და ჯალალოვის დახმარებით, შუადღისით მიდის ბრეგაძეების ყანაში და იქ ესაფრება, ხოლო ღორაშვილს კი, როგორც უცნობს — აგზავნის დაზარალებულის ოჯახში და ეძახის მას —თითქოს მის ყანაში ღორები იყოს შესული. ამის გამგონე შალიკო ბრეგაძე გარბის ყანის დასათვალიერებლად — სადაც ვერაგულად ჰკლავენ მას. ერთი თვის შემდეგ მილიცია იჭერს ლაფაჩიშვილს და ჯალალოვს.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ლაფაჩიშვილს და ჯალალოვს ათ-ათი წლით სასტიკი იზოლაცია.

სერ—გო.

წერილებიდან

საქმე არც ისე ცუდათაა

(ყვარელი, კახეთი)

ყვარელი დიდი სოფელია ალაზნის გაღმა მხარეს. აქ ყველა დაწესებულებაა სასამართლოს გარდა, და მუშაობაც ნორმალურად სწარმოებს.

მხოლოდ ერთი რამ არის სამწუხარო. ზამთრის განმავლობაში ზოგიერთი საკლასო ოთახი ერთხელაც არ გამთბარა, რის გამოც მოსწავლეებს ცხვირები უცვდებათ ხშირი წმენდით.

გლეხკომმა შეიძინა ალაზანზე ბორანი, რომელზედაც მგზავრები ივლიან შეღავათიან ფასებში.

კოოპერატივის თავმჯდომარის ამხ. ს. სეფაშვილის დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ეპოში ყველაფერს ნახავ, რასაც კი მოისურვებთ.

ასევე ითქმება სხვა დარგის მოსამსახურეებზედაც. აქ ადგილი არა აქვს ლოთობას და იმ უზნეო ქცევას, რაც ხდება ზოგიერთ სოფლებში.

ვინ.

გლეხკორის ხმამ გასჭრა

გაზეთ „კომუნისტში“ 16 თებერვლიდან № 87 მოთავსებულ წერილის: „ძალათ მაცხონეობა აკეთში“ საპასუხოთ გაცნობებთ, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები სრულ სინამდვილეს შეიცავს, რასაც ამოწმებს სამაზრო აღმასკომის ინსტრუქტორის გამოკვლევა ა. წ. 5 თებერვლიდან.

საქმე დამნაშავების სასამართლოს წესით პასუხის გებაში მისაცემათ გადაეცა მაზრის პროკურორს 9 თებერვალს № 461.

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე
გ. რამიშვილი.

ს. ჯიქიუბანი (ქუთ. მ.)

— ახალი სამკითხველო. ამას წინად შესდგა კრება, რომელზედაც, სხვათაშორის გაირჩა, ჯიქიუბანის ქოხ-სამკითხველოსათვის სახელის დარქმევის კითხვა. კრებამ ერთხმად დაადგინა დაერქვას ჩვენს სამკითხველოს ამხ. მიხა კახიანის სამკითხველო.

ქ. გოგელია.

გამოჩინებულის თ. (ქუთ. მ.)

— დამნაშავენი დაუსჯელათ დაიარებიან. კოოპერატივი დახურვის კარზეა, წელიწადზე მეტია, რაც ის გაგვიცარცვეს და დამნაშავენი დღემდისაც არ არიან დასჯილნი. ხალხს ამის გამო გული აქვს გატეხილი და აღარ დაეძებს კოოპერატივისათვის ხელის შეწყობას. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, კოოპერატივს დახურვა მოელის.

ლეონტი ჯაში.

ამაშუკეთის თ. (შორ. მ.)

— სოკოლოვები მიწით ვაჭრობენ. ვარლამ და ვიაჩესლავ სოკოლოვები თავიდანვე ცნობილნი არიან ჩვენს თემში, როგორც მემამულეები. დღეს მათ დარჩათ 30 ქცევამდე მიწა, რომელსაც საკუთარი ძალით ვერ ამუშავებენ. ამიტომ ჰყიდიან თავისუფლად მიწებს მეზობელ გლეხებზე და ამ ვაჭრობას აწარმოებენ იჯარის სახით. არა ერთხელ მიუთითე ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ის ვერავითარ ზომებს ვერ ღებულობს ყოფილ მემამულეების წინააღმდეგ.

იქაური.

სოფლის ქრონიკა

— გურჯაანის აღმასკომმა დაადგინა თავის კუთვნილ მარნის შენობა მოახმაროს ადგილობრივ სახალხო სახლს.

— ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა გამოიმუშაოს ბინების ნიხრი.

— რაჭის აღმასკომმა დაადგინა სოფ. ტოლას არსებული აფთიაქი გადაიტანოს სოფ. ბუგეულში.

— სოფ. ნაკიეთის (რაჭა) თემის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს უწერის სკოლის შენობა.

— რაჭის აღმასკომი სოფ. პატარა-ონში ხსნის აფთიაქს.

— სოფ. წინეთის (რაჭაშია) ხიდის შესაკეთებლად რაჭის აღმასკომმა გადასდო 500 მან.

— ხიდი. დვაბზუს (გურია) სათემო აღმასკომმა დაადგინა გააკეთოს მდ. ნატანებზე ახალი ხიდი.

— ჩაქვში (აჭარისტანი) ამ დღეებში შეუდგებიან მდ. ჩაქვზე ხიდის აგებას.

— ახალქალაქის მაზრაში [illegible] მეურნეებთა კოოპერატიული კავშირი.

[illegible] და უკანასკნელი პარტიულობის და- [illegible]

წავა სოციალისტურ მშენებლობის გზით,

წარმოების ღარიბ გლეხობის [illegible] მეურნეობებს, კომუნა ზოგადრ- [illegible]

გახსნილებისაკენ. ღარიბ გლეხობის ორგანიზაციამ ამან უნდა შეუწყოს [illegible]

რომ მუშათა პარტიის აღმასკომი ამ წინადადებას შეურყეველ სთვლის. ჩვენ არ უნდა [illegible]

ნებს სოციალისტურ პარტიებს, განსაკუთრებით კი ინგლისის [illegible]

ქრონიკა

დიპლომატიური დარბაზობა

ამიერ-კავკასიაში გერმანიის გენერალურ კონსულად ახლად დანიშნული კურტ პრიუფერი და ვიცე-კონსული შრედერი გუშინ 11½ საათზე მიიღეს სასახლეში ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მამია ორახელაშვილმა.

11 საათზე პრიუფერი და შრედერი მიღებულ იქნენ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ელიავას მიერ.

გერმანელი მწერალი თბილისში

გერმანელმა მწერალმა ეგონმა კიშმა, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, გუშინ დაათვალიერა თბილისის მუზეუმები და სახ. უნივერსიტეტი. განსაკუთრებით დააინტერესა იგი ისტორიულ ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა.

დღეს ე. კიში ერევანში მიემგზავრება.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ დაადგინა გადაიდოს საქონლის ჭირთან საბრძოლველათ მიმდინარე წლის დამლევამდე 551.262 მ.

შაქრის შემოტანა

მიმდინარე წლის დამლევამდე ამიერ-კავკასიაში შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილების მიერ შემოტანილი იქნება 1900.000 ფუთი შაქარი.

უზენაეს სასამართლოს შემადგენლობა

საქ. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა და დაამტკიცა უზენაეს სასამართლოს შემდეგი შემადგენლობა: ამხ. კოტე ცინცაძე (სასამართლოს თავმჯდომარე), ვასილ წივწივაძე (მოადგილე).

წევრებად: ამხ. ვ. ცინცაძე, ს. მეგრელიშვილი, მ. ბედია, ალ. ლუკაშევიჩი, ს. დანჩი ოღლი და ირ. სურგულაძე.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ალ. კაჭარავა, მოადგილეებათ: ამხ. სამსონ ხარაბაძე (სამოქალაქო განყოფილებაში) და ამხ. შ. ოდილავაძე (სისხლის სამართლის განყოფილებაში).

აღმ. საქ. საოლქო სასამართლოს წევრებად დაინიშნენ: რ. გლადკოვი, პ. ბურკაძე, ნ. კორინთელი, თურქია, ა. პაპავა, კ. კომახ[illegible], დ. ტატიშვილი, პ. ჯაჯანიძე, ო. ლეჟავა და მ. კაკულია.

სათადარიგო წევრებად: არ. ბარამიძე და ი. ბერიშვილი.

თანამდებობიდან განთავისუფლებულნი არიან:

უზენაეს სასამართლოს წევრები: ალ. თუმანიშვილი, ლ. მიროტაძე, გ. რთველაძე და შ. გალდავა.

აღ. საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრები: ვ. ცინცაძე, მ. ჩოდრიშვილი, შ. გოთვაძე, ალ. ჩოჩიევი, პ. ღლონტი და მ. ლაფანაშვილი.

თბ. აღმასკომში

◆ აღმასკომის კუთვნილ სახლების დასაზღვევად აღმასკომმა შეადგინა კომისია.

◆ ბაღი „არტო" იჯარით გადაეცა წითელი ჯვარის საზ-ბას.

◆ ყოფილ პოლიციელების სამოქალაქო უფლებებში აღსადგენად, აღმასკომმა შეადგინა ასეთ პირების ვინაობის შემსწავლელი კომისია მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ ცხენების გამოცდა. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რომ ზაფხულში ცხენების გამოცდების ჩასატარებლად გადადებულ იქნას 5 ათასი მან.

◆ ტყის დამუშავება. კომისარიატმა დაამტკიცა რკინისგზათა სამმართველოს და სატყეო განყოფილების შორის დადებული ხელშეკრულება ტყის მიწოდებას შესახებ.

◆ ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს ტყის გაშენების და განახლების მუშაობის საწარმოებლად კომისარიატმა მისცა 6232 მ.

◆ საძოვრების მეველეებს სპეცტანისამოსის ნაცვლად კომისარიატის დადგენილებით მიეცემათ ფული.

დამზღვევ სალაროში

◆ პენსიონერები სალაროს დადგენილებით, 1 მარტიდან პენსიას მიიღებენ რაიონულ დამზღვევ პუნქტებიდან.

◆ დაზღვეული უმუშევრები. თბილისის დამზღვევ სალაროს ამჟამად აღრიცხვაზე ყავს 3.500-მდე დაზღვეული უმუშევარი.

◆ ზრუნვა ბავშვებზე. სალარომ გადასწყვიტა წელს გააფართოვოს ბავშვთა კონსულტაციების (სამრჩევლოების) მუშაობა.

მეაბრეშუმეობა

◆ თათბირი. ამიერ-კავკასიის საბრეშუმო სადგურების გამგეთა თათბირი შესდგება 2 აპრილს თბილისში.

◆ თბილისის საბრეშუმო სადგურს მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, ეწოდა საქ. ცენტრალური საბრეშუმო სადგური.

სახალხო განათლება

◆ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს ცნობით საქართველოში ამჟამად წერა-კითხვა იცის მცხოვრებთა ერთმა მესამედმა.

◆ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვი. განათლების კომისარიატის ცნობით საქართველოში ამჟამად ითვლება 247,680 მოწაფე და 9,449 მასწავლებელი.

სხვადასხვა

◆ ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა საზღვარგარეთ, საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობათ და აგრეთვე სხვადასხვა ბაზრობაზე მოაწყოს გასატან საქონლის მუდმივი გამოფენები.

◆ განათლების მუშაკთა კლუბში. სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

— **კონფერენცია.** გუშინ გაიხსნა სამხედრო-[illegible] ორგანიზაციების კონფერენცია.

— **დახმარება უმუშევრებს.** 1 მარტს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება მისცემს თებერვლის თვის დახმარებას უმუშევრებს; რომელთაც აქვთ წიგნაკი № 7601-დან № 8168-დე.

— **ზაჰესის ენერგიის** გამოსაყენებლად ზაჰესის კომიტეტმა დაამთავრა 4 ქვე-სადგურის აგება.

შემთხვევები

— **მგელი თბილისში.** 25 თებერვალს დალის 12 საათზე დიდუბეში გორის ქუჩაზე მილიციელმა უჩვამ მოკლა მგელი.

— **დაჭრა.** 28 თებ. ნარიოის ქ. № 8 არტემ მიკირტჩიანცმა დანით დასჭრა თავისი ცოლი ასტღიკა. დამნაშავე შეიპყრეს.

— **შურისძიების ნიადაგზე** 27 თებ. ისაკ და აბრამ კოატანაშვილებმა დასჭრეს სიმონ კეჟერაშვილი.

— **ქურდი ცოლ-ქმარი.** 27 თებერვ. ბზის მოედანი № 5 მარტიროსოვმა და მისმა ცოლმა გაქურდეს არტემ საკიანცის ბინა.

— **გაძარცვა.** სოფ. ღრმა-ღელეში (ვაკის თემი) მედუქნე [illegible] ჩიკვაიძეს თავს დაესხა 4 შეიარაღებული ავაზაკი და გაძარცვეს, აგრეთვე გაძარცული იქნენ ჩიკვაიძის შვილები და დუქანში შემთხვევით მყოფი ეტიევები.

— **ქურდობა.** 28 თებ. არაგვის ქ. № 2 გაქურდეს ანტონ გოლოვაჩევსკის ბინა.

— ამავე დღეს გონჩარის ქ. № 32 გაქურდეს ნინა ბერიძის ბინა.

— ამავე დღეს ალექსანდროვის ქ. № 20 გაქურდეს ხ ჩატუროვის ბინა.

— 27 თებ. გოგოლის ქ. № 12 გაქურდეს ეკატერინა სტეფანიანცის ბინა.

— 25 თებ. არქივის № 8 ვასილ ქარსაულიძის ბინიდან მოიპარეს 200 მან.

— ამავე დღეს მელიქოვის ქ. № 8 გაქურდეს მატრონა კედიას ბინა.

— 21 თებ. სოფ. ხაშმში გიორგი მამულაშვილს და ვანო ნაცვლიშვილს მოპარეს 200 მან. ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ტრავიატა".

ჯერ კიდევ სახელგანთქმულ ადელინა პატის დროსაც—რომლისთვისაც ვერდიმ დასწერა თავისი ოპერა „ტრავიატა"—ამ პარტიას ასრულებდა უმეტესად კოლორატურული სოპრანო. ეს შეცდომაა, რადგან ამ პარტიაში, გარდა პირველი დიდი არიისა, ადგილი არ აქვს კოლორატურულ სიმღერას, მთელი პარტია დაწერილია წმინდა ლირიულ ფორმებში. რამდენადაც მეტი ლირიზმი იქნება გამსჭვალული მსახიობი ქალი ამ პარტიის შესრულების დროს, მით უფრო უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს.

სტეპანოვას არტისტული ნიჭის განსაკუთრებულ დადებით მხარეს წარმოადგენს არა განვითარებული ტეხნიკა და არა კოლორატურა, არამედ ხმის მშვენიერი მომჯადოებელი ტემბრი, მისი განსაკუთრებული მუსიკალობა და მგრძნობიარობა, რითაც შესრულება უაღრესად მხატვრულია და ფრაზიროვკაც სრულყოფილი.

სწორედ ამ მხარეებით მიიზიდა მომღერალმა ქალმა მთელი აუდიტორიის ყურადღება ამ წარმოდგენაზე. რასაკვირველია, ხმის ტეხნიკის შემწეობით მომღერალმა კარგად შეასრულა პირველი არიაც, მაგრამ დაწყებული მეორე აქტიდან მომღერალმა ქალმა პირდაპირ დაიპყრო აუდიტორია (სცენა ალფრედის მამასთან ჟორჟ ჟერმონთან). აქ ბევრი იყო რეალიზმი, გულწრფელობა და განცდა. სცენა—როცა მას შეურაცხყოფს ალფრედი—მოითხოვს მეტ განცდას. მომღერალი ქალი საუცხოვოდ მღერის მოკლე მონოლოგს (ალფრედთან შეხვედრამდე), მაგრამ შეურაცხყოფის სცენა მკრთალი იყო. ნაკლებია განცდა აგრეთვე მეოთხე აქტის დასაწყისში. სიმღერის დროს, რასაკვირველია, შეუძლებელია პარტიტურის მითითებიდან გადარჩევა, და გასტროლიორიდანაც ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ სიტყვებისა და მუსიკის უფრო შეთანხმება, რომ რეალიზმი მიღწეული იქნეს, მესამე აქტში სტეპანოვას შესრულებაში ჩვენ ეს ვერ დავინახეთ მელოდეკლამაციურ ფრაზამდე (სიკვდილის წინ), ამ ადგილიდან კი შესრულებაში კვლავ დიდი განცდა და მრავალფეროვნება იყო მოცემული.

ჟორჟ ჟერმონის პარტია შეასრულა მიგაიმ. მიგაი ძალიან მგრძნობიარეა ვოკალური მხრით, თუმცა მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ის, რომ ჟორჟ ჟერმონი ვიოლეტას წინაშე თავს უფრო ღირსეულად გრძნობს და მეორე აქტის დიალოგში არ არის საჭირო ლირიზმი (უკანასკნელ ფრაზამდე), ვოკალური მხრით მშვენივრად იყო შესრულებული მონოლოგი შვილთან; სცენიური მხრით კი პოზიორობა ახდენს შთაბეჭდილებას. გრიმი შესაფერია.

ალფრედის პარტიას მღეროდა ზლოცინსკი. მომღერალი მუსიკალურია. არტისტს კარგად მიჰყავს სცენა. ემჩნევა წინსვლა. თავის სიმაღლეზე იყო ქურხული.

უარყოფით მოვლენად უნდა ჩავთვალოთ წარმოდგენის დადგმა თანამედროვე ეპოქის სტილით. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. შეუძლებელია ეპოქების ასეთი აღრევა: მაგალითად, ვიოლეტა გამოდის თანამედროვე კოსტიუმში, ხოლო ჟორჟ ჟერმონი კი გასული საუკუნის დასაწყისის სერთუკში.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

— **მწერალთა კავშირში.** ოთხშ. საღ. 7 საათზე ხელოვ. სასახლეში დანიშნულია მწერალთა კავშირის ახლად ამორჩეულ საბჭოს სხდომა.

— **„ლამარა" ეკრანზე.** „მეჟრაბპომ-რუს"-მა ეკრანზე გადასაღებათ მიიღო გრიგოლ რობაქიძის პიესა: „ლამარა".

— **„ყაჩაღები".** პლეხანოვის სახ. კლუბში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღები".

— **ეგონ პეტრი** ახლო ხანში ქუთაისში გამართავს ორ კონცერტს.

— **„ნიბელუნგები"-ს** ჩვენება „სოლეი"-სა და „არფასტო"-ში გაგრძელდება ამ კვირაშიაც.

— **ახალი თეატრი.** ზესტაფონში დაიწყო ახალი თეატრის შენობის აგება.

— **„დეზერტირკა".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა".

— **ს. მიგაი და სტეპანოვა** დღეს იმღერებენ ოპერა „მეფის საცოლე"-ში.

დღეს კინოებში

სოლეი—„ნიბელუნგები".
არფასტო—იგივე.
მინიონი—„ებრაული ბედნიერება".

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

წ. ა. ფ. ს. გუნდის მე ორე დამარცხება

კვირას, 28 თებერვალს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ყოფ. ქავთარაძის სახელობის და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდების მესამე შეჯიბრება.

წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი ამ შეჯიბრში გამოვიდა თავისი საუკეთესო შემადგენლობით. ქავთარაძის სახელობის გუნდს კი აკლდა ერთი ძირითადი მოთამაშე, რომლის მაგივრად შემთხვევითი მოთამაშე იქნა დაყენებული მესამე კატეგორიის გუნდიდან.

თამაშმა თავიდანვე გაცოველებული ხასიათი მიიღო. ყოფ. ქავთარაძის სახელობის გუნდს პირველ ხავტაიმში ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოუხდა თამაში, რის გამო ბურთი თითქმის მთელი პირველი განყოფილების განმავლობაში მის კარებთან ტრიალებდა.

წ. ა. ფ. სახლის გუნდის ფეხბურთელებმა ისარგებლეს მათთვის ხელსაყრელი მდგომარეობით; მათ განუწყვეტელი იერიშები მიჰქონდათ მოპირდაპირის კარებზე, მაგრამ რეალურ შედეგს ვერ მიაღწიეს, რაც ქავთარაძის სახელობის გუნდის დამცველთა შემადგენლობის და გოლკიპერ პაპკოვის მოფიქრებულ და მოხდენილ თამაშს უნდა მიეწეროს.

მიუხედავათ იმისა, რომ ქარი საგრძნობლად ასუსტებდა ქავთარაძის სახელობის გუნდის ფეხბურთელების იერიშებს, ისინი მაინც ხშირად ახერხებდნენ მოპირდაპირის ფრონტის გარღვევას და ერთ შემთხვევაში შედეგსაც მაღწიეს. მარჯვენა ინსაიტმა ვაჩნაძემ თამაშის მე-25 წუთზე ცენტრიდან მარჯვეთ წაღებული ბურთი მიიტანა წ. ა. ფ. ს. გუნდის კარებამდი და მოხდენილი დარტყმით შეაგდო კიდეც შიგ.

მეორე ხავტაიმში უკვე ბრძოლის ინიციატივა მთლიანათ ქავთარაძის სახელობის გუნდის ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელის ფეხბურთელები მოპირდაპირის „გოლში იჯდენ" მთელი მეორე განყოფილების განმავლობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქავთარაძის სახელობის გუნდის ნახევრად დამცველთა და თავდამსხმელთა შემადგენლობის სიმტკიცე და მოხდენილი თამაში.

მეორე ხავტაიმში ქავთარაძის სახელობის გუნდის მარჯვენა ინსაიტმა ვაჩნაძემ კიდევ კიდევ შესძლო ორი ბურთის გატარება წ. ა. ფ. სახლის გუნდის კარებში და შეჯიბრება გათავდა 3:0 ქავთარაძის სახელობის გუნდის სასარგებლოთ.

ამრიგათ, სამი შეჯიბრებიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ გუნდებს შორის უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში, ქავთარაძის სახელობის გუნდმა ერთი დაამთავრა ფრედ (3:3), ორი კი მოიგო: 4:2 და 8:0.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში გაიმართება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სხდომა.**

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

დღეს, 2 მარტს, საღამოს 7 საათზე აგიტპროპგანყოფილების ცენტრალურ კაბინეტში შესდგება საპროპაგანდო კურსების ქართული სექციის მეცადინეობა.

სავალდებულოა რაიკომების მიერ გამოყოფილ ყველა ამხანაგების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (ზემო დარბაზი) გაიმართება კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა მდივნების თათბირი მეორე რაიკომის საუჯრედო კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად.

სავალდებულოა კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა ყველა მდივნების და აგრეთვე მეორე რაიკომის კომკავშირის საუჯრედო კომისიების თავმჯდომარეების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს 5½ საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის ბინაზე გაიმართება მეორე რაიკომის ქალთა სადელეგატო კრება.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს ა. წ. 2 მარტს საღამოს 5½ საათზე ქალაქის აღმასკომის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის ქალთა გაერთიანებული სადელეგატო კრება (რუს. და ქართ. ჯგუფების) ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

განყოფილების გამგე თენეიშვილი.

შვილები ილიკო, სვიმონ, პლატონ ყიფიანები და თამარა ჯაფარიძისა, სიძე კონსტანტინე ჯაფარიძე, შვილიშვილები ქეთო და რეზო ჯაფარიძენი და თინა ხვედელიძე-სა ქმარით ვლადიმერით და პატარა ბიჭიკოთი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ერმონია (მონიკო) გიორგის ასული

ყიფიანისა

მიცვალებულს გამოასვენებენ პეროვსკის ქ. (ყოფილი ანასტასიას ქ.) № 25 და დაკრძალავენ ვერის ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს 4 ნახ. საათზე. 1689—1—1

ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა, გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი, ალექსანდრე, ბეჟანი და შალვა გიორგის ძენი ტატიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა პირველი ორის—დედის მსგავსი ძვირფასი დეიდა, ხოლო დანარჩენების საყვარელი ბებიდა

ერმონია (მონიკო) გიორგის ასული

ყიფიანისა

ცხედარს გამოასვენებენ პეროვსკის ქ. (ყოფილი ანასტასიას) № 25 და დაკრძალავენ ვერის ნიკოლოზ. ეკლესიის სასაფლაოზე სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს 4 ნახ. საათზე. 1689—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე აკაკი გოჯასპირის ძე და შვილი ნადია (ქენია) ლორთქიფანიძეები და ძმისწული სევერიანე სევერიანეს ძე გრიგოლია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს პირველი უძვირფასესი მეუღლის, მეორეს უსაყვარლესი დედის და მესამე—დაუვიწყარი მამიდის

ფაქიზო ანტონ გრიგოლიას ასული

ლორთქიფანიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია ამა 1926 წლის 4 მარტს, ხუთშაბათს, დილის 12 საათზე, ქალ. სამტრედიაში, საკუთარ სახლიდან. 1692—2—1

გერმანე იოსების ძე, კოწო და რევაზ, ნინა ქაიხოსროს ასული გოგიტიძენი და დედა ანა მიხეილის ასული [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ [illegible] თებერვალს 23-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა [illegible] საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და [illegible], [illegible] დაუვიწყარი უძვირფასესი დედიკო და მესამისა—რძალი

ნადეჟდა იესეს ასული

გოგიტიძისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, შაბათს 4 მარტს, 4 ნახ. საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლენინის ქ. № 15. 1706—1—1

სამშაბათს, ა | წ. 2 მარტს, გარდაცვალების წლის დღეს

ლიდია მიხეილის ასული

გოგიტიძისა

განსვენებულის საფლავზე, ვერის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პროფ. სიმონ გოგიტიძე და მისი შვილები—თამარ, ვერა და გიორგი. პანაშვიდი დაიწყება საღამოს 5 საათზე.

და თეკლე იესეს ასული, სიძე ნიკოლოზ ალექსანდრე ძე და დისშვილები ტუპუნა და გიასა დოლიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 თებერვალს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნადეჟდა იესეს ასული

გოგიტიძისა

1706 1—1

გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ბაბუა ბიჭია იოსების ძე, ბიძები—ალექსანდრე, კირილე, სვიმონ, იოსები და ვასილი ბიჭიას ძენი, ბიცოლები—ვერიკო და ნინა, მამიდები—ეკატერინე, მატრონა და მარიამი გურგენიძეები, ბიძა ანჯიკო ნემსაძე, ნათლის მამა ვანო და ნათლი დედა ვერა ნაფეტვარიძეები, რომ გარდაგვეცვალა მუდამ დაუვიწყარი, საყვარელი პატარა კარგი გოგონა

ეთერი (ეთიკო)

გურგენიძის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდება 2 მარტს სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან კომუნალური (ყოფ. ვორონცოვის) ქუჩა. № 88.

693 1—1

გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მშობლები—თამარა ალექსანდრეს ასული, მელიტონ ბიჭიას ძე, ძმა ზურაბ მელიტონის ძე გურგენიძეები, აღმზრდელი ნინა [illegible], ბაბუა ალექსანდრე, ბებია ივლიტა, ბიძები—სიმონ, დათიკო, გივი, ბიცოლა ქეთო და მამიდები—ვერიკა, ნინა და ელენე ლეჟავები, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაგვეცვალა მუდამ დაუვიწყარი, საყვარელი პატარა ცქრიალა გოგონა

ეთერი (ეთიკო)

გურგენიძის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდება 2 მარტს, სამშაბათს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან კომუნალური (ყოფ. ვორონცოვის) ქუჩა, № 88.

1693 1—1

კინო „აპოლლო"
პირველად ჩვენს ეკრანზე სეზონის საუცხოვო სურათი
„კინ" (გენიოსი და სალახანა)
მოზჟუხინის, ლისენკოს და კოლინის მონაწილეობით.
გაძლიერებული სიმფონიანი ორკესტრი
ანონსი: მზადდება დასადგმელათ 25 წ. გამოშვებული სურათი
„ჯვარი და მაუზერი".
ნ. 845 1—1

პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მე-5-ე ყრილობა მოწვეულია ორშაბათს, 1926 წ. 8 მარტს.

ყრილობის დღის წესრიგშია:

1. ამხ. ყურულიშვილის მოხსენება საქ. პროფსაბჭოს საქმიანობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ამხ. არჩილ [illegible] შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის პერსპექტივები:
   - ა) მრეწველობის დარგში—მომ. სენებ.—ამხ. ყოყიკაშვილი.
   - ბ) სასოფლო-მეურნეობის დარგში—გეგეჭკორი
5. საქართველოს პრო მოძრაობის მორიგი ამოცანები:
   - ა) საორგანიზაციო დარგში—მომხს. ამხ. ალიკო ფანცხავა.
   - ბ) სატარიფო-ეკონომიურ დარგში მომხს. ამხ. ბ. მაჩაიძე.
   - გ) კულტურულ-საგანმანათ. „ ი. ჭელიძე.
6. არჩევნები.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

3—1 ნ. 846.

ბორჯომის საკურორტო მრეწველობის კომბინატის [illegible] და წარმოებების

შეერთებული ბალანსი

აქტივი — 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის. — პასივი

№ ანგ.	ანგარიშების სახელწოდება	ანგარიშის მდგომარეობა 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის		№ ანგარ.	ანგარიშების სახელწოდება	ანგარიშების მდგომარეობა 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის	
	2. მთავარი ხარჯები				**1. საკუთარი კაპიტალები**		
	ა. საწარმოო ქონება			1	ძირითადი კაპიტალი	359,951	16
5	შენობები და მოწყობილობანი	103,542	—	2	საბრუნავი კაპიტალი	138 224	75
6	მანქანები და მოწყობილობა	159 868	08	3	ამორტიზაცია	19,674	03
7	შეძენილი და დამხმარე ინვენტარი	41,705	75		**2. კრედიტორები**		
	ბ. არასაწარმოო ქონება			6	გრძელვადიანი სესხები	44,109	31
8	შენობები	46,425	—	8	გაცემული თამასუქები	19,400	—
9	დანარჩენი ქონება	17,154	17	12ა	დანარჩენი კრედიტორები	169,758	36
	გ. დაუმთავრებელი შენობები	3,028	48	12ბ	კომბინატის წარმოებები	134,753	66
10	კაპიტალური რემონტი	5,711	65	12გ	მუშები და მოსამსახურეები	13,006	56
	3. საბრუნავი საშუალებები:				**განაწილებული მოგება**		
	ა. ფულადი საშუალებები				გადასახადი შემოსავალზე	7,855	77
11	კასა	1,252	55		მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯ.	7,855	77
12	მიმდინარე ანგარიშები	146	38		ფონდი	15,711	54
13ბ	ზედდართული გადასახადი	—	—		სათადარიგო კაპიტალი	29,851	92
	ბ. მატერიალური ღირებულებანი				საწესდებო "	17,282	69
16	ნედლი და დამხმარე მასალა	98.167	95		ხაზინის შემოსავალი		
17	სათბობი მასალა	3,785	48				
18	საქონელი საწყობებში	91,601	52				
22	სამეურნეო დამზადებანი	1,142	63				
23	დაუმთავრებელი წარმოება	16,343	85				
	გ. დებიტორები						
30ა	დანარჩენი დებიტორები	196,893	89				
30ბ	კომბინატის წარმოებანი	134,753	66				
30გ	მუშები და მოსამსახურეები	7,140	43				
32	ანგარიშვალდებული პირები	10,679	82				
	4. მომავალი წლის ხარჯები	105	50				
	5. ზარალი 1923 წლის	37,986	73				
	ბალანსი.	977,435	52		**ბალანსი.**	977 435	52

კომბინატის დირექტორი: ზარინი. მთავარ ბუხჰალტერის მაგიერ: ლ. არუთინოვი. ნ. 844 1—1

აპოლლო
არტისტო
ლოიდი

პირველად სეზონის საუცხოვო სურათი
„კინი"
(გენიოსი და სალახანა)
მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
დღეიდან გრძელდება ჩვენება მესამე კვირაში
1 და 2 სერია ერთად
მსოფლიო შედევრის
„ნიბელუნგები"
იჩქარეთ ნახვა
0—10 ნ. 785

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპ. № 24
ტელეფონი № 1094

ინვალიდების არტელის „სურათის" ლიკვიდაციის გამო

ვსთხოვთ ყველა პრეტენზიები წარმოუდგინონ არტელის სალიკვიდაციო კომისიას შემდეგი მისამართით: ინვალიდთა [illegible] არტელი „პროდუქტი". პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი კვირის განმავლობაში დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე—მირზოევი. მისამართი: არტელი „პროდუქტი" „[illegible]" № 12, [illegible] № 4088. 1651 1—1

საჭიროა ბუხჰალტერი
ანგარიშწარმოების მცოდნე
(სხვაგან გასაგზავნად)
მიმართეთ
ლითონის ტრესტს
საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩა, № 114,
ტრესტის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. საქსოგანსკის.
838 2—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივან არღუთინსკი

აცხადებს რომ ა. წ. 5 მარტს, დილის 2 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მამედ-ალა-აბას ოღლის და იმყოფება მე-10 მი[illegible] უბ. კირკის ქ. № 4, და შესდგება სხვადასხვა წვრილმანი დუქნის საქონლისაგან, როგორიც არის ქიშმიში, ინდაური, ხურმა, თხილი, სასწორი თავის ქვებით და სხვა. შეფასებულია 89 მან. რაც შეფასებიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ქონება აწერილია [illegible] ოღლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 21 იანვრის 1926 წ. თარიღით, № 146 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღე.

ქ. 1690 1—1

პროფ. ბრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა
ავადმყოფების მიღება
მიღება [illegible] საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77
25—6

ექიმი ნ. ა. ჟანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან 2 საათამდე
საპიორის ქუჩა № 15 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ჭაჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.
საღამოს 4—6 საათამდე
ბელგიის ქუჩა № 1.

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზის სანეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დღ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, „ბუასილის-სქესობრივი სისუსტე ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდის.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილისა
სახელობის
ნერვიულ [illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათ.მდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82.
1355 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები
№ 1306

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22.
25—1.

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47. ტელეფ. № 5—90 თვალის სავადმყოფო.

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

დავკარგე თბილისის ლომბარდის ქვითარი № 18073, ჩ. გ. 1—1 1691

დავკარგე ინვალიდობის მოწმობა ფილიპე [illegible] ძე ლებანიძეს სახელზე, ჩ. გ. 1—1 1700

დავკარგე რძის წიგნაკი № 118 მოსე ბარაბიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1701

დავკარგე მთლიანი პარტბილეთი № 490051 გიორგი შალამბერიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1701

დავკარგე პირადი წიგნაკი ეფრემ მოსეს ძე შილელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1701

დავკარგე პირადი წიგნაკი № 508 და № 4 აქსენტი არჩაიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1701

დავკარგე პირადობის მოწმობა № 301 და ჩემი შვილის მეტრიკული მოწმობა № 765. ალექსანდრე ყუ[illegible]რაშვილის ხელზე, ჩ. გ. 1—1 70

დავკარგე მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი, კოლა გიორგის ძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1705

დავკარგე კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 12147, რემედასის საწევრო წიგნაკი და იარაღის მოწმობა მოცემული სურამის ორგანოს ციხიდან შალვა პ. ვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1644

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 463 ევგრაფი თიბილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1707

დავკარგე პირადობის მოწმობა № 218 კონსტანტინე ფირცხალაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1707

დავკარგე ნუსხა № 21 თომ. დათას ძე ეფსიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1707

დავკარგე პირადობის მოწმობა № 237 და სამხედრო საღრიცხვო ბარათი რომლე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1707

დავკარგე მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 882 და პირადობის მოწმობა № 1232 ერმილე პავლეს ძე [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1—1 1694

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა გრიგოლ პორფილის ძე ჩიჩინაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1695

დავკარგე პირადობის მოწმობა № 701 იასონ გეგელიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 169[illegible]

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი გიორგი ფილიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1697

დავკარგე მოწმობა სენაკის მაზრის სოფ. გეჯეთის შვიდწლედის დამთავრების შესახებ № 38 დომენტი ალექსანდრეს ძე ოჩიგავას სახელზე, ჩ. გ. 1—1 169[illegible]

დავკარგე გლეხკომის საწევრო წიგნაკი № 188 მიხეილ ზაქარიას ძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1698

დავკარგე პირადობის მოწმობა კარაპეტ ოტროფიანის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1699

დავკარგე პირადობის მოწმობა № 389 იაკობ სარჩიმელიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1701

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 930 გაცემული საბჭოთა მუშაკების კავშირიდან თომა ახდრიას-ძე [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1—1 1702

ტირაჟი—52.823

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68